# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 25 მარტი 2005 №65 (2388) ფასი 50 თეთრი


## ფედერაცია მაღრაძის, მაღრაძე თვითმფრინავის წინააღმდეგ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ლევან მაღრაძის საქმეზე ფიფაში ჩივის — ფედერაციას, რომ იტყვიან, ყელში ამოუვიდა მაღრაძის მიერ ნაკრების ინტერესების უგულებელყოფა და გუშინ საღამოს ფიფაში საჩივარი გააგზავნა.

ბერძნული „ქსანთის" მარჯვენაფლანგელის ჩამოუსვლელობის თაობაზე გუშინაც ვწერდით და, როცა ჩვენს ბერძენ კოლეგას, გაზეთ „სპორტაიმის" ჟურნალისტ ლარი სუსკასს შევეხმიანეთ, გავიგეთ, რომ მაღრაძე თურმე ორშაბათს, 21 მარტს ეშურებოდა თბილისში ჩამოსვლას, მაგრამ თვითმფრინავის სალონში თავი შეუძლოდ იგრძნო და კლინიკაში გადაიყვანეს, სადაც უთხრეს, ერთი თვე თვითმფრინავს არ გაეკაროო.

გუშინ კი ერთხელაც დავურეკეთ სუსკასს.

„მაღრაძის თემა ახლა საკმაოდ აქტუალურია ბერძნულ მედიაში. დღეს მაღრაძე რამდენიმე ჟურნალისტს ელაპარაკა და განაცხადა, ჩემი პრობლემის შესახებ საქართველოს ეროვნული ნაკრების ექიმს ტელეფონით ვესაუბრე და მან მითხრა, თუ ასეთი ვითარებაა, მაშინ თვითმფრინავით მგზავრობას მეც არ გირჩევო" — გვითხრა სუსკასმა.

## ჩამოზვერქენება
### ევროპის ჩემპიონი თბილისშია



## დღეს უპატარძლო ქორწილია





## პეტრიაშვილს საშემოდგომო ელის

გაქანებული სანაკრებო ციებცხელებაა, მაგრამ ცხოვრება ქართულ საკლუბო ფეხბურთშიც გრძელდება რა ხდება თბილისის „დინამოში"? ვინ იქნება გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი? რა ბედი ეწევა კლუბის მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილს?

არაოფიციალური, კულუარული წყაროდან შევიტყვეთ, რომ გუშინ ამ საკითხების შესახებ „დინამოს" ხელმძღვანელებს უმსჯელიათ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ხვიჩა ქასრაშვილი სეზონის ბოლომდე უხელმძღვანელებს „დინამოს" ახალ მწვრთნელს კი მერელა მოიწვევენ. რაც შეეხება პეტრიაშვილს, ის ჯერ დარჩება პოსტზე, თუმც ახალი სეზონიდან მის კვლავაც დირექტორობას ძალიან დიდი კითხვის ნიშანი უწერია.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# KÖNIG OTTO

## ევროპის რაღაცნაირი ჩემპიონები

**გუშინ**, ნაშუადღევს თბილისში ევროპის ჩემპიონები ჩამოვიდნენ — საბერძნეთის ეროვნული ნაკრები, ლურჯ კოსტიუმებში გამოწყობილი ელინები.

ჩვენთან ბევრი დიდი გუნდი ჩამოსულა და აეროპორტში არაერთხელ ყოფილა დიდი ამბავი, წივილ-კივილი, ავტოგრაფების თხოვნა... მაგრამ გუშინ ასე არ იყო, ოდენ ერთ-ორ თინეიჯერ გულშემატკივარს თუ მოემარჯვებინა ფურცელ-კალამი, რადგან საბერძნეთი არც გერმანიაა, არც იტალია და არც საფრანგეთი, თუმც... ევროპის ჩემპიონია.

საბერძნეთი მართლაც რაღაცნაირი ევროპის ჩემპიონია, რომელსაც არც ზიდანი ჰყავს, არც შევჩენკო, არც ტოტი თუ ბექემი, მაგრამ ჰყავს ოტო რეჰაგელი, ვისმა გაწვრთნილმა ბიჭებმაც შარშან პორტუგალიაში ყველა წააქციეს, ვისაც კი ვარსკვლავებით და ამბიციებით მოჰქონდა თავი.

რეჰაგელმა ჟურნალისტებს აეროპორტში გვითხრა, საქართველოს ნაკრები მაღალი დონის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, რომლებიც ბურთის ფლობით გამოირჩევიან. ჩვენ კი ეს შესარჩევი ციკლი კარგად ვერ დავიწყეთ, მაგრამ წინსვლა თბილისური მატჩით უნდა დავიწყოთ, სამი ქულა უნდა მოვიპოვოთო.

ბერძენთა აწოწილმა ფორვარდმა, აიაქსელმა ანგელოს ხარისტიასმა ზოგადი ფრაზების გარდა ისიც თქვა, საქართველოს ნაკრების მთავარი ძალა მისი კარგ გუნდებში უხვად მოთამაშე ლეგიონერები არიანო.

გამოველაპარაკეთ სტელიოს იანაკოპულოსსაც: „სამი ქულისთვის ჩამოვედით და ძალიან რთული მატჩი გველის, პროგნოზზე კი ვერაფერს მოგახსენებთ, ამას იმის მერე გეტყვით, როცა საქართველოს ნაკრებს საქმეში ვნახავ" — ოხუნჯურად დაასრულა სიტყვა ბოლტონელმა შუახაზელმა.

— სამი ქულისთვის ჩამოვედით, მაგრამ იგივე სურს საქართველოს ნაკრებსაც. ევროპის ჩემპიონები კი ვართ, მაგრამ ის მოიგებს, ვინც შაბათს უკეთ ითამაშებს — ეს უკვე ბორდოელმა მიხალის კაპსისმა გვითხრა.

საბერძნეთის ეროვნული ნაკრები „თბილისი მარიოტში" დაბინავდა, ხოლო 21-წლამდელები „ქორთიარდ მარიოტში" გაჩერდნენ.

მოკლედ, ბერძენთა ჩამოსვლა დიდად პომპეზური არ ყოფილა, ალბათ იმიტომ, რომ ისინი ევროპის რაღაცნაირი ჩემპიონები არიან.

რეჰაგელი კი თბილისში პირველად 1987 წელს ჩამოვიდა, „დინამოსთან" უეფას თასის მერვედფინალური მატჩისთვის ბრემენის „ვერდერს" ხელმძღვანელობდა. მაშინ თბილისური მატჩი 1:1 დამთავრდა, ბრემენში კი „ვერდერმა" 2:1 მოიგო და მეოთხედფინალშიც გერმანელები გავიდნენ.

რეჰაგელი ახლა 67 წლისაა, თუმც თითქმის ისევე გამოიყურება, როგორც თვრამეტი წლის წინ თბილისში სტუმრობისას. ჰერ ოტო ქალაქ ესენში დაიბადა და იქაურ „როტ-ვაისში" სამი წელი ითამაშა, ხოლო 1963 წლიდან ბუნდესლიგაში ამოჰყო თავი. მისი პირველი ბუნდესლიგური კლუბი ბერლინის „ჰერტა" გახლდათ, სადაც ორი სეზონი ითამაშა, ხოლო 1965-72 წლებში „კაიზერსლაუტერნისთვის" ირჯებოდა. მწვრთნელობას რეჰაგელი 1974 წლიდან შეუდგა, სერიოზული კარიერა კი 1980 წლიდან დაიწყო, როცა ბრემენის „ვერდერი" ჩაიბარა. „ვერდერში" მან თხუთმეტი წელი უწყვეტად იმუშავა, გუნდი ორჯერ გახადა გერმანიის ჩემპიონი, ორჯერ თასი აღებინა, ხოლო ერთხელ ევროპის თასების თასიც აწევინა. სწორედ რეჰაგელმა აღმოაჩინა და ვარსკვლავად გაზარდა რუდი ფიოლერი.

შემდეგ რეჰაგელი მიუნხენის „ბაიერნმა" მიიწვია, მაგრამ უბრალო და სახალხო კაცი ბაიერნულ-ჰოლივუდურ ინტერიერს ვერ შეუხამდა და მეორებუნდესლიგელ „კაიზერსლაუტერნს" მიაშურა, გუნდი პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა და მყის გააჩემპიონა.

KÖNIG OTTO — „მეფე ოტო" რეჰაგელს სამშობლოში შეარქვეს, თუმც შარშანდლის აქეთ ეს მისი საერთაშორისო თიკუნი გახდა.

რეჰაგელმა საბერძნეთის ეროვნული ნაკრები 2001 წელს ჩაიბარა.

**დავით თავართქილაძე**

# რეჰაგელს ტანში გააჟრჟოლა

## ბერძნები გასახდელში ჩაიკეტნენ



**ევროპის** ჩემპიონი ბერძნები გუშინ „მიხეილ მესხზე" სავარჯიშოდ რვის ნახევარზე გამოჩნდნენ, თუმც იქამდე ოტო რეჰაგელმა, თითქოს სასტუმროში ამის პირობები არ იყო, შეგირდები სტადიონის გასახდელში გამოკეტა, მასპინძლებს კი სთხოვა, უცხო ახლო-მახლო არ მოგვაკაროთო.

მერე დაიწყო ვარჯიში, რომლის სანახავად სტუმრებმა 10-15 წუთი „გვიწყალობეს" ქართველ ჟურნალისტებს. ამ დროს შემცივნული რეჰაგელი ცალკე დარბოდა და ბურთით ჟონგლიორობდა, გუნდი თანაშემწისთვის მიებარებინა და შეგირდებისკენ თვალს თუ გააპარებდა ხოლმე. ბოლოს რეჰაგელისთვის ქართული სუსხი აუტანელი რომ გახდა, უფრო თბილი ქურთუკი ითხოვა. ჩათბილულმა კი სასტვენი მოიმარჯვა, შეგირდები მოედნის ცენტრში შემოიკრიბა და ალბათ გასახდელში დაწყებული საუბარი იქ დაამთავრა.

გუნდი ორად გაიყო და ფეხბურთელებიც, ვიდრე მწვრთნელი არ ინებებდა, წამით არ შეჩერებულან, ტემპი იყო, თქვენი მოწონებული. შიგადაშიგ კი ოტო რეჰაგელის გერმანულად და მკაცრი ტონით ნათქვამი შენიშვნებიც ისმოდა, რასაც მწვრთნელის თანაშემწე კოსტას ტოპალიდისი თარგმნიდა ხოლმე. ჟირეს-გურულივით, ბერძენგერმანელიც ხმაშეწყობილად მუშაობენ.

მართალია, სულ რამდენიმე წუთით, მაგრამ ბერძენთა ის ნაქები პრესინგიც ვნახეთ, რითაც ამ ზაფხულს ევროპა გააოცეს. ბურთი ადრესატამდე მიგორებული არ იყო, ჩამშლელი მიმღების ფეხის წასაცლელად მომზადებული იყო.

მერე ფეხბურთელებმა ერთი ომახიანი ტაშიც შემოსცხეს, საბერძნეთიდან წამოღებული წყლით პირი გაისველეს და საათნახევრიანი ვარჯიშიც მოამთავრეს.

ერთი ბერძნული უცნაურობაც ისაა, რომ ოტო რეჰაგელს მატჩისწინა პრესკონფერენცია დაგეგმილი არ აქვს... არადა, რამდენი კითხვა გვქონდა.

**კობა ინასარიძე**



[illegible] ფოტო

# შირესმა რეჰაგელს ხინკალი ურჩია
## ფედერაცია მაღრაძეს არ შეარჩენს

**საქართველოს** ნაკრების თავკაცი ალენ ჟირესი ტრადიციას არ ღალატობს და საღამოს ვარჯიშამდე პრესკონფერენციაზე გვიწვევს. მუსიე ალენი, როგორც სჩვევია, შეკითხვებს თითქმის ამომწურავად პასუხობს, თუმც, ბუნებრივია, სათავისოდაც იტოვებს რაღაც-რაღაცეებს. თუ რისი თქმა და გაცხადება არ შეიძლება საქვეყნოდ, ამას ჟირესის ნაუბრიდან შეიტყობთ.

იქამდე კი ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროსმა ლევან სალუქვაძემ ეს გვითხრა: „ფედერაციის სახელით ვაცხადებ, რომ ლევან მაღრაძეს ყოველგვარი წესების დაცვით დროულად გაეგზავნა ნაკრებში მიწვევის ფურცელი. ამის მიუხედავად, მაღრაძე შეკრებაზე არ გამოცხადდა და გუშინ „ქსანთის" შემადგენლობაში საბერძნეთის თასზე ითამაშა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უკვე ყველა საჭირო დოკუმენტაცია შეაგროვა, რასაც დღეს საღამოს ფიფაში გავაგზავნით. ჩვენ უკან არ დავიხევთ და სანქციებს არ მოვერიდებით. ახლა ფიფას გადაწყვეტილებას დაველოდებით და საქმის გაგრძელებას ოპერატიულად გაცნობებთ".

ერთი სიტყვით, მაღრაძე უკვე ნაკლებად მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენთვის და ჯობს, ახლა ალენ ჟირესს მოვუსმინოთ..

— მზადება სრული გეგმით მიდის. ყველაფერი კარგადაა და ამ წუთისთვის არაფერს ვუჩივით — თქვა ჟირესმა და მერე, როგორც ყოველთვის, კითხვა-პასუხი გაჩაღდა.

**— ხვალ საქართველოს ნაკრებს დახურული ვარჯიში აქვს და ეს გასაგებია, ალბათ ტაქტიკურ სიახლეებზე აპირებთ აქცენტის გაკეთებას...**

— ამის შესახებ ყველაფერი რომ ვთქვა, ვარჯიშის დახურვას რა აზრი ექნება?! ბერძნების საქმეს ნუ აკეთებთ, ჯობია, ამ თემაზე აღარ ვისაუბროთ. სხვათა შორის, ბერძნებმა მატჩისწინა პრესკონფერენციის ჩატარებაზე საერთოდ უარი თქვეს. თქვენ კი ჩემთან ამის შესაძლებლობა გაქვთ და ეს გამოიყენეთ...

**— გაირკვა, რომ გოგიტა გოგუას ახალგაზრდულ ნაკრებში მიღებული წითელი ბარათი ბერძნებთან თამაშში ხელს არ შეუშლის...**

— მართალია. გოგუამ ახალგაზრდულში თამაშისას მიიღო წითელი და ამ ტურნირს უეფა ატარებს, მის მიერ შეფარდებული სასჯელი კი ფიფას ტურნირზე არ ვრცელდება. ასე რომ, გოგუას თაობაზე ყველაფერი გარკვეულია და, ბუნებრივია, სხვების მსგავსად მასაც აქვს თამაშის უფლება.

**— ლევან ცქიტიშვილის ჯანმრთელობა როგორაა?**

— ცქიტიშვილს უკვე აღარაფერი აწუხებს. ახლა მხოლოდ მისი სათამაშო ფორმაა მთავარი.

**— ბერძენთა თავკაცმა ოტო რეჰაგელმა უდიდეს დანაკლისად მიიჩნია ტრაიანოს დელასის არყოფნა. თქვენ როგორ თვლით, დელასი მართლა დიდი ძალაა ბერძნებისთვის თუ ეს რეჰაგელის ერთგვარი ფინტია?**

— რახან რეჰაგელმა თქვა, მაშინ გამოდის, რომ მართლა დიდი დანაკლისია. ისე კი, ბევრი თამაში მინახავს, ბერძნებმა დელასის გარეშე რომ ითამაშეს და მოიგეს.

**— მიხეილ აშვეთია და შოთა არველაძე უთამაშებლები არიან. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბერძნებთან ალექსანდრე იაშვილს და გიორგი დემეტრაძეს დაეყრდნობით? მით უმეტეს, ბოლო ოფიციალურ მატჩში, დანიასთან სწორედ ამ დუეტმა ითამაშა...**

— არ ვიცი, ვნახავთ.

**— რეჰაგელმა ისიც თქვა, რომ ქართველებმა ბურთის დაჭერა და მოედნის ცენტრში გამაგრება არ უნდა დაგვასწრონო...**

— თქვენ ქართველი ჟურნალისტები ხართ თუ ბერძნები? რეჰაგელმა რაც უნდა, ის თქვას, მის სიტყვებზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ. ალბათ ისიც გეცოდინებათ, რა ჭამა გუშინ რეჰაგელმა, თუმცა მე რომ მკითხოთ, უფრო ხინკალს ვურჩევდი.

**— ლევან კობიაშვილის შუაში შეწევა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის თუ მისი მარცხენა ჰავბეკად გამწესება?**

— კარგად გამიგეთ, შემადგენლობას აქ ვერ დავაყენებ. პრესკონფერენციაზე ამის არც საჭიროებაა და არც დრო. სახალხოდ ვერ ვიტყვი, ვინ სად და როგორ ითამაშებს.

**— ჩვენი ჯგუფის ლიდერი უკრაინა დანიას ეთამაშება. ვის უქომაგებთ?**

— ფრეს. ვფიქრობ, ეს საუკეთესო ვარიანტი იქნება ჩვენთვის.

ამით პრესკონფერენცია დასრულდა და ნაკრები სავარჯიშოდ გაემართა. ჟირესის გადაწყვეტილებით, გუშინდელი წვრთნა არც ღია უნდა ყოფილიყო და არც დახურული — ბიჭებისთვის ოდენ 15 წუთით თვალის შევლება შეგვეძლო, თუმც ჟირესმა მოგვიანებით გადაწყვეტილება შეცვალა და ვარჯიშსაც საკმაოდ ბევრი ქომაგი დაესწრო.

**კახა შალამბერიძე**



[illegible] ფოტო

# იაზონი მედეასთან ანუ წაგება-მოგების ექვსი მიზეზი

## რატომ უნდა მოიგოს ხვალ საქართველომ

☺ 26 მარტს თამაში თბილისში, „მიხეილ მესხის" 25 600-იან სტადიონზე და ტრიბუნებზე ანშლაგი იქნება.

☺ საქართველოს ნაკრები აღმავლობის გზაზეა. ქართველებს არც ერთი შესარჩევი ციკლი ასე ყოჩაღად არ დაუწყიათ და, რაც მთავარია, თამაშიდან თამაშამდე სულ უფრო უკეთ გამოიყურებიან.

☺ ალენ ჟირესმა გამოიძახა ამ ეტაპზე ოპტიმალური, უძლიერესი შემადგენლობა. საუკეთესო ფორმაში არიან ნაკრების ლიდერები — კახა კალაძე, ლევან კობიაშვილი და მალხაზ ასათიანი. ბერძნებს არ ეყოლებათ დაცვის ლიდერი ტრაიანოს დელასი.

☺ საბერძნეთის დღევანდელი ნაკრები ისე ველარ ჩაუქრობს, როგორც შარშანდელ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატზე. 26 მარტს თბილისში ევროპის ჩემპიონატის მოიგებს შემადგენლობასთან შედარებით სუსტი გუნდი ითამაშებს. ალენ ჟირესს მეტოქეზე ყველა საჭირო ინფორმაცია აქვს.

☺ ეს მატჩი მეტოქეთათვის ძალიან მნიშვნელოვანი და, ფაქტობრივად, გადამწყვეტია მოგებით საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს.

☺ საქართველოს საბერძნეთთან აქამდე სამჯერ უთამაშია და სამჯერვე წააგო, ნაქსი უნდა გატყდეს.

## რატომ უნდა მოიგოს საბერძნეთმა

☹ საბერძნეთი ევროპის ჩემპიონია.

☹ საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელი ოტო რეჰაგელია, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი.

☹ საქართველოს ნაკრები ხასიათის, განწყობის გუნდია და იოლად შეიძლება მისი მდგომარეობიდან გამოყვანა.

☹ საბერძნეთი მეტოქეზე გაცილებით გამოცდილი და თავდაჯერებული გუნდია.

☹ საბერძნეთი ხისტ და უხეშ ფეხბურთს თამაშობს. ქართველებს ასეთ გუნდებთან ყოველთვის უჭირთ.

☹ საბერძნეთს საქართველოსთან აქამდე სამჯერ უთამაშია და სამჯერვე მოიგო...

# თურქეთიდან ყვითელი ქარიშხალი მოდის

ერსუნ იანალი თბილისში მზვერავს აგზავნის. საქართველო — საბერძნეთის თურქეთის ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე მეთინ თექინი დაესწრება.

39 წლის მეთინს ფეხბურთელობისას „ყვითელ ქარიშხალს" ეძახდნენ. იზმითში დაბადებული თავიდან „ქოჯაელისფორში" თამაშობდა, 1982-ში კი „ბეშიქთაშში" გადავიდა და კლუბის სიმბოლოდ იქცა. 320 მატჩში 47 გოლი გაიტანა. ნაკრებში კი 34-ჯერ უთამაშია და ორი გოლი გაუტანია.

„ყვითელ ქარიშხალს" არაერთხელ უთამაშია არველაძეების წინააღმდეგ, როცა ტყუპები „ტრაბზონსპორში" იყვნენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



თბილისი. 25 მარტი. 16 საათი. ეროვნული. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

# საქართველო U21 — საბერძნეთი U21

მსაჯები: იან რობერტსონი; ჯეიმს ლიონი, ჯეიმს ბი; ბრაიან ვინტერი (ყველა შოტლანდია)

## ჩახედე ჟურნალისტს თვალებში

### ტყებუჩავას კვადრატს ხუთი კუთხე აქვს

*— შევეცდებით, ისეთი ფეხბურთი ვითამაშოთ და ის შედეგი ვაჩვენოთ, რომ ნამატჩევს პრესკონფერენციაზე ჟურნალისტების თვალებში შეხედვისა არ შემრცხვეს. ნაგების მერე მირჩევნია, მიწა გამისკდეს და შიგ ჩამიტანოს — გვითხრა გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გოჩა ტყებუჩავამ. ღმერთმა ქნას, ტყებუჩავა დღეს სულ სიცილ-კისკისით შემოვიდეს პრესკონფერენციაზე, ჩვენ კი ის ვთქვათ, როგორ ემზადებოდნენ ქართველი ახალგაზრდები ეროვნულ სტადიონზე*

მოთელვა-გახურების შემდეგ ტყებუჩავამ ნახევარ მინდორზე ცალკარა გააჩაღებინა 15 ფეხბურთელს. კარში ირაკლი თოთლაძე ჩადგა და აქედანვე ცხადია, რომ დღეს ბერძნეთა შეტევების ბოლო ზღუდე სწორედ „ბათუმის" გოლკიპერი იქნება. შვიდკაცა გუნდებში კი, ერთ მხარეს ჭილლაძე, ღვინიანიძე, ჩიკვილაძე, ლომიძე, კაშია, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე და გეწაძე, მეორე მხარეს კი კანკავა, ელიავა, მიქიაშვილი, გურული, იაშვილი, ხოჯავა და ბესარაშვილი თამაშობდნენ.

ნაკრების დანარჩენი ფეხბურთელები — ციმაკურიძე, განუგრავა, ებანოიძე, გიორგი ნოდარის ძე ჭელიძე და მარცვალაძე „კვადრატს" თამაშობდნენ, დროდადრო კი მეკარეებს — ბობღიაშვილსა და რევიშვილს ავარჯიშებდნენ. აქვე ვთქვათ, რომ გიორგი ციმაკურიძე ალბანეთთან მიღებული წითელი ბარათის გამო ბერძნებთან ვერ ითამაშებს.

*მათე ღვინიანიძე* კი დღეს მეორედ მოირგებს ახალგაზრდული ნაკრების მაისურას. მოსკოვის „ლოკომოტივის" 18 წლის მცველი ერთი შეხვედრით მორცხვი, მაგრამ მინდორზე ლომივით მებრძოლი ბიჭია და აკი გუშინდელ ვარჯიშზეც გამოირჩეოდა...

— ლიტვასთან ხანაკრებო დებიუტი მქონდა და ძალიან გამიხარდა, რომ მოვიგეთ, მაგრამ საბერძნეთთან სულ სხვა თამაში გვექნება. სად ამხანაგური მატჩი და სად ოფიციალური, თანაც მეტოქესაც ხომ გააჩნია.

— ახალგაზრდულ ნაკრებს უკვე შევეჩვიე, კარგი გუნდი გვყავს. არც საბერძნეთი და არც თურქეთი დაუმარცხებლები არ არიან, მათთან თანაბრად თამაში შეგვიძლია და ვეცდებით, გულშემატკივრები გავახაროთ.

— „ლოკომოტივის" დუბლებში კი ვთამაშობ, მაგრამ ძირითადი გუნდის წევრად ვითვლები. მოსკოვში ძალიან კარგად მეპყრობიან და ყველა პირობაა საიმისოდ, რომ უკეთ ავითამაშდე. იური სიომინიც მემადლიერება. „ლოკო" მეგობრული გუნდია და, ცხადია, მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთიაც მუდამ მამხნევებენ. მათ ძალიან დიდ პატივს სცემენ მოსკოვში."

*გოჩა ტყებუჩავა* საბერძნეთის ნაკრებს მაღალ შეფასებას აძლევს, მათი მთავარი კოზირი ტექნიკააო, თუმც მას ბერძენთა ღრიჭოებიც შეუმჩნევია:

— ბერძენმა ახალგაზრდებმა ბოლო შესარჩევ მატჩში შინ წააგეს დანიასთან, მაგრამ ნაღდად არწასაგები თამაში ჰქონდათ.

**— რა ნაკლი დაინახეთ მათ თამაშში?**

— დაცვაში აქვთ მცირე პრობლემები, ამიტომაც ჩვენს ფორვარდებზე ბევრი იქნება დამოკიდებული.

**— საბერძნეთის ეროვნული ნაკრები უფრო დაცვითი ფეხბურთის მიმდევარია. ახალგაზრდული ნაკრები თამაშის სტილით და ტაქტიკით განსხვავდება ოტო რეჰაგელის გუნდისგან?**

— დიახ, ახალგაზრდები უფრო შემტევად თამაშობენ და, ერთხელაც ვიტყვი, ბურთთან ძალიან ახლოს არიან.

**— ამასწინათ თქვით, მოსაგებად ვითამაშებთო და ხვალ შეტევაზე ააწყობთ თამაშს?**

— არა, მარტო შეტევა ან მარტო დაცვა არაფერს გვარგებს. თამაშსაც გააჩნია, ყველაფერს დავაბალანსებთ. რა თქმა უნდა, ცუდია, რომ ხვალ მხოლოდ ჟურნალისტები დაესწრებიან მატჩს. ახალგაზრდული ნაკრების თამაშს ჯერ ისედაც არ ესწრებოდა ბევრი გულშემატკივარი და ახლა უარეს დღეში ჩავვარდით, თუმც ეს არაა მთავარი, ბიჭები საბრძოლო განწყობაზე არიან.

**— დღევანდელ ვარჯიშზე 15 ფეხბურთელი ცალკე ათამაშეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ძირითადი შემადგენლობა ამ 15-დან აირჩევა?**

— კი, ასეა.

**— სტანდარტულებზე ვარჯიშს დიდი ყურადღება დაუთმეთ...**

— დღევანდელ ფეხბურთში სტანდარტული სიტუაციები დიდ როლს თამაშობს. შესაძლოა, მთელი თამაშის განმავლობაში მომენტი ვერ შექმნა და უცებ ჯარიმიდან ან კუთხურიდან გაიტანო გოლი, რომელიც მოგაგებინებს. ჩვენგან კი სანდრო იაშვილს შეუძლია თავისი ბრწყინვალედ თამაში.

შეგახსენებთ, ქართველი და ბერძენი ახალგაზრდების შეხვდას დღეს 16 საათზე ეროვნულ სტადიონზე თითო გუნდიდან 75-75 წარმომადგენელი და ჟურნალისტები დაესწრებიან.

**ილია ნანობაშვილი**



მათე ღვინიანიძე და გოჩა ტყებუჩავა



## პატარა ბერძნებს მინდორი და იაშვილი აფიქრებთ



**სალამოს** ეროვნულ სტადიონს საბერძნეთის ახალგაზრდული ნაკრებიც მოადგა. სტელიოს აპოსპორისმა დიდად არ გათანგა თავისი ბიჭები, ახალნამგზავრებს დაახლოებით 45-წუთიანი მსუბუქი ვარჯიში აკმარა და რომ ვთქვათ, ელინებმა ბურთის ფლობით და სისწრაფით გადაგვრიესო, არ გამოგვივა მართალი. ერთი ჩვეულებრივი სამხრეთული ყაიდის ტექნიკური გუნდია, რომელიც ფიზიკურადაც არცთუ ურიგოდ გამოიყურება.

აპოსპორისმა მთელი ვარჯიში ნახევარ მოედანზე ცალკარას დაუთმო, ოღონდ, ტყებუჩავასგან განსხვავებით, სრული შემადგენლობა ათამაშა.

ბოლოხანს საბერძნეთს ახალგაზრდულ ასაკში ყოველთვის ღონიერი ნაკრები ჰყავს, მაგრამ ამ შესარჩევი ციკლის 5 მატჩში ოდენ 7 ქულა მოუგროვებია და მეოთხე ადგილზეა. აპოსპორისს თბილისში ვერ ჩამოჰყვა ფორვარდი დერლასი, თუმც გუნდშია ჰოლანდიური „ჰერენვენის" თავდამსხმელი გეორგიოს სამარასი, რომელიც ბერძენთა ერთადერთი ლეგიონერია.

ვარჯიშის შემდეგ სტელიოს აპოსპორისი არცთუ კარგ ხასიათზე ჩანდა, თურმე მინდორი არ მოსწონებია, აქ თამაში ძალიან გაგვიძნელდებაო. ისე კი, „პატარა ბერძნების" თავკაცი მაინც სამ ქულაზეა დაგეშილი.

— საქართველო კარგი გუნდია, ფიზიკურად ძლიერი ბიჭები ჰყავს, განსაკუთრებით იაშვილს გამოვარჩევ. კარგი ნახევარდაცვა და თავდასხმა გყავთ, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მოგებისთვის ვიბრძოლებთ.

— ჩემი გუნდი საბერძნეთის ეროვნული ნაკრების ტაქტიკით თამაშობს, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. სწრაფი თავდამსხმელები გვყავს და მათი იმედი მაქვს. აეკ-ის და „პანათინაიკოსის" ფეხბურთელებს გამოცდილების პრობლემა არ აწუხებთ. ჯგუფში, სულ მცირე, მეორე ადგილი უნდა დავიკავოთ, ამიტომაც ხვალ თბილისში და ოთხ დღეში ალბანელებთან შინ უნდა მოვიგოთ.

**ლადო ჟულუკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:6 | 13 |
| უკრაინა | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 10 |
| თურქეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 4:3 | 8 |
| საბერძნეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:4 | 7 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 4 |
| ყაზახეთი | 4 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 0 |

## geo_geo_fan@hotmail.com



**საქართველოსთვის გადამწყვეტი ბრძოლისა რა გითხრათ და, წლის უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის ბრძოლა კი მოახლოვდა. არა გვგონია, ხვალ საღამოს სპორტის მოყვარული კაცი ქუჩაში დაყიალობდეს.**

**ხვალამდე კი ჩვენს ფოსტაში შემოსულ წერილებს გადავავლოთ თვალი...**

ჩვენი რუბრიკის ძველი ავტორი, ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატის დროიდან რომ გვწერს სისტემატიურად, თავის წერილს ასე ასათაურებს: „გულისფანცქალითა და იმედით..."

LONG70: *სალამი „სარბიელს"! მართალი გითხრათ, მომენატრა თქვენი რუბრიკა...*

*ყველა უდიდესი იმედით ველოდებით 26 მარტის მატჩს. უდიდესი იმედითა და... არ ვიცი, რა დავარქვა იმ სხვა, მეორე გრძნობას, ერთი კი ვიცი, შიშს ნამდვილად ვერ ვუწოდებ!!!*

*მამაჩემმა იცის ხოლმე თქმა, როცა ჩვენს კართან ჯარიმა დაინიშნება: „აპასნია"! ჰოდა, საბერძნეთთან თამაშის წინ სწორედ ასეთი გრძნობა მეუფლება — „აპასნია"!*

*თუმცა ის გრძნობაც (იმედი???) მაქვს, რომ საქართველომ უნდა გაიაროს იმ დანის პირზე თუ ბეწვის ხიდზე, რომელსაც საბერძნეთი ჰქვია!*

*რატომ? არ ვიცი! მთელ ქვეყანს სურს ასე!!!*

*როგორ? ო-ლა-ლა! ამ კითხვაზე პასუხი უკვე მუსიე ჟირესისაა!*

დავძინოთ, რომ პასუხი მხოლოდ მუსიე ჟირესზე არ არის და იმედი გვაქვს, ფეხბურთელები ზუსტად შეასრულებენ მწვრთნელის დავალებებს და LONG70-ის მამას თამაშის ყურებისას „აპასნია"-ს ძახილის საფუძველს არ მისცემენ.

გუშინწინდელ ფოსტაში ერთი წერილი იყო, რომლის ავტორიც ფიქრობდა, რომ რომელი გუნდიც უფრო მალე დაიღლება, ის წააგებს. აი, მომდევნო წერილის ავტორი კი ფიქრობს, რომ წააგებს ის, ვინც ნაკლები თავდადებით ითამაშებს. მოდით, ეს ორი მოსაზრება გავაერთიანოთ და ვთქვათ, რომ ვისაც ფიზიკური გამძლეობა არ ეყოფა და მორალურადაც გატყდება, ის აუცილებლად წააგებს. ვიმედოვნებთ, რომ ეს საბერძნეთის ნაკრები აღმოჩნდება.

RAMZES-1967: *წაგება არაფერია... მთავარია თავდადება, თავდადება და კიდევ თავდადება... ეს კარგად იცის ჟირესმა!!! (საფრანგეთი — გერმანია 1982). თუ თავდადება იქნება, მერწმუნეთ, მოგება (ფართო გაგებით) საქართველოს დარჩება — 2:1.*

მომდევნო წერილი კი ალბათ უმჯობესი იყო, პირდაპირ მუსიე ალენ ჟირესთან გაეგზავნა მის ავტორს.

A.METREVELI: *ბატონო ალენ, მინდა, წინასწარ შემოგთავაზოთ ჩვენი გუნდის ოპტიმალური, საკადრო-ტაქტიკური ვარიანტი. მეკარე: ლომაია; დაცვა: ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე; ფლანგები: შაშიაშვილი (მარჯვნივ), კობიაშვილი (მარცხნივ); საყრდენები: სალუქვაძე (უკეთუ გოგუა დისკვალიფიცირებულია), ცქიტიშვილი; გამთამაშებელი (გაუგებარი და მოძველებული გაგებაა თანამედროვე ფეხბურთში, მაგრამ მაინც): ასათიანი; თავდასხმა: არველაძე, დემეტრაძე.*

*არც კი მინდა ვიფიქრო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი შემადგენლობა განსხვავებული აღმოჩნდება რეალურისგან. ღმერთმა არ ქნას, კვირას დილით გვეთქვას „დიდმა მწუხარებამ ღამე გაათია"-ო.*

*იპონი ელადას!!!*

დიახაც, კოკა, ვაზარი და იპონი ელადას!!!! ბატონი გია გურული კი ვინძლო, საფრთხეშია — ბატონი A.METREVELI ნაკრებში მის ადგილს უმიზნებს.

ჩვენ კი ამით ხვალამდე გემშვიდობებით და შეგახსენებთ, რომ ეს რუბრიკა ვერ იარსებებს, წერილებს თუ არ მოიწერთ.

geo_geo_fan@hotmail.com

# ჩოლარია NEWS



ბადრი კაპილაძის ფოტო

▶▶ გუშინდელი მონაცემებით, საქართველო—საბერძნეთის მატჩის ყველა 10-ლარიანი ბილეთი გაყიდულია, სალაროებში დარჩა მხოლოდ 40-ლარიანი ბილეთები, ისიც მინიმალური რაოდენობით.

▶▶ საქართველო—საბერძნეთის მატჩზე წესრიგს დაიცავს 4 050 პოლციელი, 150 პატრული, 75 შპს „დელტა სერვისის" თანამშრომელი, 250 უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაკი და დაუზუსტებელი რაოდენობით ქვეყნის პრეზიდენტის დაცვის სამსახური.

▶▶ ბერძნებს, ოფიციალური პროტოკოლის შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოუყო 135 ბილეთი და 15 მოსაწვევი. ბერძენ ქომაგთაგან ფედერაციას ბილეთებზე მოთხოვნა არ მიუღია. ბერძნებმა ბილეთები ახლა რომ ითხოვონ, ფედერაცია მათ უკვე ველარ დააკმაყოფილებს.

▶▶ თბილისში დღეს ჩამოდის ფედერაციის ერთ-ერთი სპონსორის, „უნფროსპორტის" ხელმძღვანელი კლაუს ანდერსი. სწორედ ეს კომპანია ფლობს საქართველოს ნაკრების მატჩების ჩვენების უფლებას. ანდერსს ვიდეო-ტექნიკოსებიც ჩამოჰყვებიან. ისინი უახლეს აპარატურას ჩამოიტანენ და ტელერეპორტაჟები უმაღლესი ხარისხის იქნება.

▶▶ საბერძნეთის დამარცხებისთვის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები ევროპული საზომებით საშუალო პრემიებს მიიღებენ. ზუსტ ოდენობას არ აკონკრეტებენ.

▶▶ საქართველო—საბერძნეთის მატჩის დაწყებამდე სტადიონზე ქვეყნების ეროვნულ ჰიმნებს ან ბავშვთა გუნდი შეასრულებს ან კაპელა. შესაძლოა, ჰიმნები ჩვეულებრივ, რადიოთიც აჟღერდეს.

▶▶ ელექტროენერგიის პრობლემა სტადიონზე არ იქნება. შესაძლოა, მთელი მატჩი, თავის დასაზღვევად, გენერატორის დენზე ჩატარდეს. „მიხეილ მესხის" გენერატორი 4 საათს მუშაობს.

▶▶ 30 მარტის, საქართველო—თურქეთის მატჩისთვის სტუმრებს უკვე დაჯავშნული აქვთ 700 ბილეთი, ანუ ერთი სექტორი. თუმცა თურქებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობეს, რომ ბილეთების ეს რაოდენობა საკმარისი არ იქნება და დამატება ითხოვეს. თურქები, ალბათ, ორ სექტორს დაიკავებენ.

▶▶ თურქეთთან ქართველ ფეხბურთელებზე დასაკვირვებლად ჩამოვა შოტლანდიური „სელტიკის" მწვრთნელი...

▶▶ 30 მარტის მატჩის ბილეთების უმეტესობაც 10-ლარიანი იქნება. უფრო კონკრეტულად კი, 14 ათასი ბილეთის ფასი 10 ლარია, 5 ათასის — 20 ლარი.

ეს ამბები გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გელა ჩიღლარიამ გვაცნობა.

**კობა ინასარიძე**

# თვალ-თვალი



*დანიის ახალგაზრდულ ნაკრებს თავზე ნაგავი ხომ დააყარეს, ჰოდა, უეფამ შემოგვითვალა, თქვენთან ტრიბუნაზე ძალიან ბევრი ნაგავია და ერთ მატჩს უმაყურებლოდ გამართავთო. დღეს საბერძნეთის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრაში „ეროვნულზე" ქართველ ფეხბურთელებს ქომაგი არ ეყოლებათ.*

*დროა, ნაგვიდან ამოვიდეთ.*

*ნუ ისვრით ხარახურას ტრიბუნებიდან.*

*საერთოდ ფეხბურთი იშვიათი ხილია და შევირგოთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამაგალითო ფსიქოლოგიური შეტევა მაურინიუს და კოულს დასჯიან

*პრემიერლიგის საგანგებო კომისიამ დამნაშავედ სცნო „ჩელსის“ პორტუგალიელი მენეჯერი ჟოზე მაურინიუ და „არსენალის“ ფეხბურთელი ეშლი კოული საიდუმლოო, შემოვლით მოლაპარაკებებში, რომელიც ერთი ხნის წინ ლონდონის „პარკ ჰოტელში“ მიმდინარეობდა კოულის აგენტის თანდასწრებით*



ჟოზე მაურინიუს, თავისი საქციელი ძვირად დაუჯდებაო

**„არსენალმა“** დაადასტურა, რომ არ მიუცია კოულისთვის ამ შეხვედრის უფლება, გაზეთებმა კი ეს ამბავი გახეთქეს.

ამით დაირღვა პრემიერლიგის კ-3 და კ-5 წესები, რომლებიც გულისხმობს, რომ ფეხბურთელს არ შეუძლია კლუბის გვერდის ავლით მოლაპარაკების გამართვა. ორ კვირაში დამოუკიდებელი კომისია სასჯელებს გამოუტანს დამნაშავეებს, მანამდე კი მათ დრო აქვთ თავი იმართლონ.

პრემიერლიგა ვერ დასჯის აგენტებს, ჯონათან ბარნეტს და პინი ზაჰავის, რომლებმაც ეს შეხვედრა მოაწყვეს, რადგან ისინი პრემიერლიგის იურისდიქციას არ ექვემდებარებიან. ამიტომ, დასასჯელები კოული და მაურინიუ რჩებიან.

ამბავი გაზეთებს „პარკ ჰოტელის“ ყოფილმა ოფიციანტმა, რეი მერსონმა უამბო, რომელმაც ყველა ზემოთჩამოთვლილი პირი ერთად ნახა სასტუმროში.

„ჩელსის“, კერძოდ კი მაურინიუს სხვა სასჯელიც ელის — გუშინ უეფამ „ჩელსი“ — „ბარსელონას“ ისტორიაში მაურინიუს საქციელის განცხადებები განიხილა, 31 მარტს კი პირდაპირ ანდერს ფრისკის მსაჯობიდან წასვლის საკითხზე მაურინიუს ზეგავლენაზე გამოიტანს განაჩენს.

„პარკ ჰოტელის“ საქმის კომისია კი ჯერაც ელის ეშლი კოულის განცხადებას, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ აგენტ ბარნეტის პირით ლაპარაკობს.

ამბის თავიდათავი ისაა, რომ კოულს „არსენალი“ კვირაში მხოლოდ 5 ათასი გირვანქის მომატებას ჰპირდებოდა, ეშლის კი კვირაში 85 ათასიანი ხელფასი უნდა, მაშინ როცა ახალი „არსენალური კონტრაქტით“ მხოლოდ 60 გამოუდის.

ამიტომაც მიაკითხა აბრამოვიჩის გუნდს — იქ კარგად იხდიანო.

ახლა კი, ინგლისის საუკეთესო მცველის მომავალი გაურკვეველია. „ჩელსის“ პასუხისმგებელი შეფი, პიტერ კინიონი კი მტკიცედ უარყოფს უეფას ბრალდებებს (პრემიერლიგისაზე არაფერს ამბობს) და აცხადებს, რომ კლუბზე „სამაგალითო ფსიქოლოგიური შეტევა ხორციელდება“.

„ჩელსი“ კი მტკიცედ მიდის ორი ტიტულისკენ — ქვეყნის ჩემპიონობისა და ჩემპიონთა თასისკენ.

**ირაკლი გამყრელიძე**



კლარენს ზეედორფმა დოპინგ-კონტროლიორები სასტიკად გააკრიტიკა

# მილანის წინააღმდეგ შეთქმულებაა?

**ბოლო** დღეებში, იტალიის ჩემპიონ „მილანის“ გარშემო დოპინგ-სკანდალი აგორდა — კვირას, „რომასთან“ 2:0 გამარჯვების შემდეგ ჯენარ გატუზომ და ჯუზეპე პანკარომ დოპინგ-ლაბორატორიაში სისხლის ჩაბარება იუარეს, ამ ისტორიას კი კიდევ ერთმა მილანელმა, კლარენს ზეედორფმა ახალი შტრიხი შემატა.

მოკლედ, ჰოლანდიელმა განაცხადა, რომ ის ერთ ათთაგანია, რომელთაც გატუზოს და პანკაროს მსგავსად არ აჩხვლეტინეს ექიმებს.

„სისხლის ჩაბარებაზე უარი ბერგამოში, „ატალანტასთან“ 2:1 გამარჯვების შემდეგ განვაცხადეთ, ამაში განსაკუთრებული არაფერია, საქმე ასარჩევად მქონდა და მეც ავირჩიე. საერთოდ არ მესმის, საიდან და რატომ გახმაურდა გატუზოს და პანკაროს უარი. განა არ არსებობს იტალიაში კანონი, რომლის თანახმადაც დოპინგ-კონტროლთან დაკავშირებული ადამიანების ვინაობა საიდუმლოდ უნდა დარჩეს? და, მიუხედავად ასეთი კანონისა, როგორც ფეხბურთელების, ასევე ექიმების სახელები და გვარები საქვეყნოდ საიდან გახდა ცნობილი?“ — განაცხადა ზეედორფმა.

„მილანის“ მეორე ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ კი განრისხება ვერ დამალა:

„არ გამოვრიცხავ, აქ „მილანის“ წინააღმდეგ შეთქმულებას ჰქონდეს ადგილი. აბა, რა გამოდის, რაღაცრაღაცეები ხომ არ უნდა ითქვას ხმამაღლა და ის რომ, ორმა ფეხბურთელმა სისხლის ჩაბარებაზე უარი თქვა, სკანდალის საფუძველი არ უნდა გამხდარიყო“.

ხოლო იტალიის ნაკრების კაპიტანმა, იუვენტუსელმა ფაბიო კანავარომ დასძინა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დოპინგ-ტესტები უნდა დაექვემდებაროს საერთო და ყველაზე ერთნაირად მოქმედ კანონს.

**ბაჰუნა ქედია**



# ფაბიენ ბართეზი ერთი წლის მერე გაიხდის

**საფრანგეთის** ნაკრებისა და მარსელის „ოლიმპიკის“ მეკარემ ფაბიენ ბარტეზმა თქვა, მომავალ წელს ხელთათმანებს გადავყრი, ანუ კარიერას დავასრულებო.

„ახლა 33 წლის ვარ და კიდევ ერთ სეზონს თუ ვითამაშებ. 2006-ში კი დიდი ფეხბურთიდან საერთოდ წავალ“ — განაცხადა მან.

ფაბიენ ბარტეზის სანაკრებო დებიუტი 1994 წლის მაისში ავსტრალიასთან მატჩში შედგა და მას შემდეგ მეკარემ 73-ჯერ მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

მსოფლიოს 1998 წლისა და ევროპის 2000 წლის ჩემპიონმა კარიერა პატარა „ტულუზში“ დაიწყო. 1992-ში „მარსელში“ გადავიდა და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა თასიც მოიგო. მერე „მარსელიდან“ „მონაკოს“ (1995) მიაშურა, ბოლოს კი კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში“ გააგრძელა და ალექს ფერგიუსონისგან მოძულებული 2003-ის დეკემბერში კვლავ „მარსელში“ დაბრუნდა.

ახლა კი ფეხბურთიდან მიდის...

**ვაჟა ხუციშვილი**

# კრესპო რჩება, კალაძე?

**როგორც ჩანს,** „მილანის“ ხელმძღვანელობამ საბოლოოდ გადაწყვიტა ერნან კრესპოს შენარჩუნება. მოგეხსენებათ, ანდრეი შევჩენკოს არყოფნაში არგენტინელმა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა და საკმაოდ კარგი თამაშიც აჩვენა.

იტალიური პრესის ცნობით, „როსონერის“ კრესპოსთან 2008 წლამდე სურს კონტრაქტის გაფორმება, თუმც ამისთვის მილანელები „ჩელსის“ უნდა მოელაპარაკონ. შეგახსენებთ, რომ ლონდონელებს თავის დროზე კრესპოს სანაცვლოდ „ინტერისთვის“ 15 მილიონი ევრო აქვთ გადახდილი. ამბობენ, „მილანი“ „ჩელსის“ ფულსა და კახა კალაძეს შესთავაზებსო. ყველაფერი ალბათ კლუბების წარმომადგენლებს შორის დაგეგმილი შეხვედრისას გაირკვევა, რომელიც მომავალ კვირაში გაიმართება.

ბოლოს კი თავად კრესპოს მოვუსმინოთ: „ძალიან გახარებული ვარ. „მილანთან“ ფაქტობრივად ყველა დეტალი მოვაგვარე. ახლა მთავარია, „ჩელსისთან“ მოხერხდეს შეთანხმება“.

**გიორგი ძაძამიძე**



ერნან კრესპო „მილანს“ მოელაპარაკა



რობერტ კოვაჩი ზაფხულში „ბაიერნს“ დატოვებს

# კოვაჩი და ქალბატონი შეხვედრა ზაფხულში

**მიუნხენის** „ბაიერნის“ გენერალურმა მენეჯერმა ული ჰიონესმა დაადასტურა, რომ რობერტ კოვაჩით ტურინის „იუვენტუსია“ დაინტერესებული და სავარაუდოდ მომავალ ზაფხულს ტრანსფერიც შედგება.

ული ჰიონესი: „ჩვენ რობერტს ახალი ორწლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ, კიდევ ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით, მაგრამ „იუვენტუსი“ მას გაცილებით სარფიან წინადადებას სთავაზობს. ასე რომ, კოვაჩის წასვლა ფაქტობრივად გადაწყვეტილია“.

თავად ხორვატს კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ აქამდე არაერთხელ უთქვამს, იტალიაში თამაში მხიბლავს და სერია A-ში სიამოვნებით გადავბარგდებიო.

პარალელურად ტურინელები ნახევარდაცვის გაძლიერებაზე ფიქრობენ. როგორც ამბობენ, ფაბიო კაპელოს „ლაციოს“ ნახევარმცველ ჯულიანო ჯანიკედას ხელში ჩაგდებაც უნდა. ამ უკანასკნელის გარდა, „იუვე“ დედაქალაქელთა მეორე ფეხბურთელით, ლუჩიანო ძაურითაც ყოფილა დაინტერესებული.

**გიორგი ძაძამიძე**

# პაპარაცები და პატარა ბიჭები



დევიდ ბექემი და ვიქტორია ადამსი აბეზარმა ფოტოგრაფებმა ძალიან შეაწუხეს

**დევიდ ბექემის** ოჯახობა ესპანელი პაპარაცებისთვის ძალიან მსუყე ლუკმაა. ვიქტორია ადამსის ქმარს განსაკუთრებით მისი შვილების მდევარი ფოტოგრაფები აღელვებენ — ექვსი წლის ბრუკლინს და ორი წლის რომეოს მუდმივად „უჩხაკუნებენ“ და მამა ბექემიც ამიტომაა შეღონებული.

„ეს უკვე მომბეზრდა და გამოსავალს ვეღარ ვპოულობ — დაიჩივლა ინგლისის ნაკრების კაპიტანმა — ბოლო ორი კვირის მანძილზე პაპარაცები ჩემს შვილებზე „ნადირობენ“. არ ვიცი, რა ვიღონო. მე ვმუშაობ, ჩემი მეუღლე პატარა რომეოს უვლის, ბრუკლინს კი, რომელიც „რეალის“ საფეხბურთო სკოლაში დადის, ფოტოგრაფები ნაბიჯ-ნაბიჯ დასდევენ“.

ესეც რომ არა, მავან „ფოტომონადირეს“ ორი წლის რომეო მაშინ გადაუღია, როცა ბექემიანთ ბალღი ბავშვთა ოთახში თანატოლებთან თამაშობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ამ მკერდში ორი გული ძევს...

## კაპელოს რეალი ხიბლავს, პრეზიდენტს მედია აწუხებს

*სახელგანთქმულ იტალიელ მაესტრო ფაბიო კაპელოსა და მის ოდინდელ გრანდ მადრიდის „რეალის“ გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა კვლავაც გრძელდება*



ფაბიო კაპელომ განაცხადა, „რეალი“ მიყვარს, მაგრამ „იუვენტუსის“ ერთგული ვარო

**მას შემდეგ,** რაც „სამეფო გუნდმა“ კაპელოს „იუვენტუსთან“ ჩემპიონთა ლიგაში წააგო, ხოლო პრიმერადივიზიონში ლიდერობის თითქმის ყველა შანსი დაკარგა, „რეალის“ მომავალ თავკაცად სწორედ სენიორ ფაბიოს მოიაზრებენ.

გუშინ ანდალუზიურ მარბელაში გოლფის ტურნირზე მოხალისედ ჩასული კაპელო ესპანური „პუნტო რადიოს“ ჟურნალისტებმა „მოინახულეს“ და „რეალის“ შესახებ გაესაუბრნენ. მწვრთნელს ყოფილი კლუბის მიმართ სიმპათიები არ დაუმალავს: „მადრიდთან ბრწყინვალე მოგონებები მაკავშირებს. „რეალი“ მარტო დიდი გუნდი როდია, ეს საოცარი, ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც სამუდამოდ შენი გულის, შენის სხეულის განუყოფელ ნაწილად რჩება. რასაკვირველია, ნებისმიერ მწვრთნელს მოეწონებოდა მადრიდში დარჩენა, თუმცა მე „იუვენტუსთან“ ორწლიანი კონტაქტი მაქვს და ჯერჯერობით „დელე ალპიდან“ წასვლას არ ვაპირებ“ — განაცხადა ფაბიო კაპელომ.

მოგეხსენებათ, იტალიელმა „სამეფო გუნდს“ 1996-97 წლების სეზონში უთავკაცა და მაშინ მადრიდელებს ესპანური პერმიერდივიზიონი მოაგებინა. ფლორენტინო პერესის ამასწინანდელი ნათქვამის მიუხედავად — დამრიგებლად ისევ ვანდერლეი ლუშემბურგოს დავტოვებ და პრესა-ტელევიზიაში ახალ-ახალ კანდიდატებზე მარჩიელობით ნულარ შემაწუხებთო — 2005-06-ის პრიმერაში „რეალის“ სათავეში ალბათ აპენინელ ტაქტიკოსს ვიხილავთ.

„პრეზიდენტი საპირისპიროს ამტკიცებს, მაგრამ ვანდერლეი ლუშემბურგოს გუნდში მხოლოდ საამსეზონო პრიმერას მოგების შემთხვევაში დატოვებენ, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია. „რეალს“ ლიდერ „ბარსელონასთან“ თერთმეტქულიანი დისტანცია აშორებს“ — ვკითხულობთ გუშინდელ ესპანურ „მარკაში“.

**ლადო ხომერიკი**




**გერმანიის** საფეხბურთო კავშირი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებული გამოსვლისთვის ბუნდესნაკრებს არნახულ პრემიებს შეჰპირდა. ჩემპიონატის მოგებისთვის თითოეული ფეხბურთელი 300 ათას ევროს მიიღებს, ფინალში გასვლისთვის — 150 ათასს, ნახევარფინალისთვის — 100 ათასს, ხოლო მეოთხედფინალისთვის — 50 ათასს.

**ინგლისური** პრესის ცნობით, „ჩელსი“ **უკვე საკმაოდ სოლიდურ თანხას ამზადებს ჯანლუკა ძამბროტას შესაძენად.** ტურინელები თავიანთი უნივერსალური ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებენ, მაგრამ ჭორებს თუ ვენდობით, ლონდონელები მათ 35 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ. „ჩელსის“ სიაში ძამბროტას შემდეგ ბილბაოელი ასიერ დელ ორნო და ბეტისელი ხოაკინიც ყოფილან.

**იტალიის** ნაკრებს ალესანდრო ნესტას, ჯანლუკა ძამბროტას და ვინჩენცო მონტელას შემდეგ შესაძლოა, ფრანჩესკო ტოტიც გამოაკლდეს. „რომას“ კაპიტანს ძველი ტრავმის რეციდივი აქვს და მან უკვე ორი ვარჯიში გამოტოვა. ექიმები დიაგნოზს ვერ აზუსტებენ, მაგრამ არც ისე ოპტიმისტური პროგნოზი აქვთ. მარჩელო ლიპის განკარგულებაში გამოძახებულ ფორვარდთაგან ამჟამად მხოლოდ სამია მწყობრში — ანტონიო კასანო, ალბერტო ჯილარდინო და ლუკა ტონი.

**ინგლისის** ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექემი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. ცოტა ხნის წინ ვარაუდობდნენ, რომ ნახევარმცველი ამ მატჩს ზურგის ტრავმის გამო გამოტოვებდა, მაგრამ როგორც გამოკვლევამ აჩვენა, ყველაფერი რიგზეა. „მშვენიერ ფორმაში ვარ და განწყობაც სათანადოა. კარგი თამაშისთვის მეტი არც არაფერი მჭირდება“ — თქვა ბექემმა.

**პორტუგალიური** „სპორტინგის“ თავდამსხმელი როდრიგო დუალა შესაძლოა, ლონდონის „არსენალში“ აღმოჩნდეს. ლონდონელთა კამერუნელი ლეგიონერი „მეთოფეთა“ თავკაც არსენ ვენგერის უეფას თასის მატჩების დროს შეუმჩნევია. სავარაუდოდ, მხარეები მალე მოლაპარაკებას დაიწყებენ.

**იტალიური** „ლაციოს“ ვეტერანმა მეკარემ ანჯელო პერუციმ **უარყო ჭორები, თითქოს იგი სეზონის ბოლოს კლუბის დატოვებას აპირებს. „გუნდთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და დიდი იმედი მაქვს, რომ 2007 წლამდე „სტადიო ოლიმპიკოზე“ ვითამაშებ“ — განაცხადა 35 წლის პერუცი**მ.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედი“ მომავალ ზაფხულს რამდენიმე ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტზე დაიწყებს მოლაპარაკებას და მათ შორის რაიან გიგზიც იქნება. ამ განცხადებით კლუბის ხელმძღვანელობამ ქომაგები და მოთამაშეები დააშვიდა, რომლებიც გიგზის შენარჩუნებას ითხოვდნენ. „ჩვენ არ გვინდა, რომ რაიანი წავიდეს და ამის სურვილი არც მას აქვს. ამიტომ მჯერა, რომ შევძლებთ კომპრომისული ვარიანტის პოვნას“ — თქვა „იუნაიტედის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ დევიდ გილმა.

**ჰოლანდიური** „აიაქსის“ ყოფილი თავკაც რონალდ კუმანს **ლონდონური „პორტსმუთის“ სერბი მმართველი მილან მანდარიჩი უხმობს. „მთავარი მწვრთნელის პოსტზე თავდაპირველად ტონი ადამსის მოწვევას ვაპირებდით, მაგრამ მერე გადავიფიქრეთ. ჩემი აზრით, რონალდ კუმანი ძალიან კარგი კანდიდატურაა და იმედია, შეთანხმებას მოვახერხებთ“ — დასძინა მანდარიჩმა.**

**ესპანურმა** „დეპორტივომ“ და ინგლისურმა „ბირმინგემმა“ საბოლოოდ მოილაპარაკეს ვალტერ პანდიანის ტრანსფერის შესახებ. ურუგვაელი თავდამსხმელი პრემიერლიგას მშვენივრად მოერგო და ბირმინგემელებმაც მისი ბოლომდე გამოსყიდვა ამად გადაწყვიტეს. როგორც ამბობენ, ლაკორუნიელებმა 30 წლის ფორვარდის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა მიიღეს.

**იტალიური** „ვიჩენცას“ პერსპექტიული მოთამაშე მასიმო ბონანი **მომავალ ზაფხულს „რომაში“ გადაბარგდება. „კლუბთან კონტრაქტს აღარ გავახანგრძლივებ და რომაელთა რიგებში ჩავირიცხები. ეს ჩემი ბავშვობის ოცნებაა. ბუნებრივია, სხვა წინადადებაც მქონდა, მაგრამ ისინი სერიოზულად არც განმიხილავს. ვფიქრობ, უკვე ყველა დეტალი შეთანხმებულია“ — თქვა გახარებულმა ბონანიმ.**

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ შოტლანდიელი თავკაცი სერ ალექს ფერგიუსონი თვლის, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, ირლანდიელი ნახევარმცველი როი კინი კლუბის ერთ-ერთი მწვრთნელი უნდა გახდეს. „როი ჭკვიანი და გაბედულია. მეჩვენება, კინს მწვრთნელისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს“ — აღნიშნა ფერგიუსონმა.

Copa Toyota Libertadores '2005

## ლიბერტადორესის თასი 2005

**VII ჯგუფი. III ტური**

**გვადალახარა** (მექსიკა) **2:1 სან ლორენსო** (არგენტინა)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვადალახარა (მექსიკა) | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| კობრელოა (ჩილე) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ონსე კალდასი (კოლუმბია) | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| სან ლორენსო (არგენტინა) | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |

# ოთხეულის ოცეული

## ბარსამ 13 გამოფინა, 7 შეინახა

*ამ დღეებში შეკრებილან „ბარსელონას“ ოთხი მმართველი — პრეზიდენტი ხუან ლაპორტა, ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი, სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი და გუნდის სამომავლო გეგმებზე უსაუბრიათ ანუ იმ ფეხბურთელთა ნუსხა შეუდგენიათ, საზაფხულო სატრანსფერო სეზონში მათ „ბარსაში“ გადაბირებას რომ შეეცდებიან. ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, ოთხეულს სიაში 20 სასურველი მოთამაშე ჩაუწერია, ოღონდ საჯაროდ მხოლოდ 13 გამოუმზეურებია. ვინ არიან ისინი და რა შანსი აქვთ მომავალ სეზონში „ბარსელონას“ მაისურით ითამაშონ? ამაზე წვრილად ქვემოთ წაიკითხოთ*



„ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ხელები დაიკაპიწა

**1. ბენუა კოსტელი**
17 წლის, მეკარე.
„კაენი“ (საფრანგეთი)
სატრანსფერო ფასი:
1,5 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
2-4 მილიონ ევრომდე
სხვა მსურველი კლუბები:
„მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „ნანტი“, პსჟ, „მარსელი“, „ლიონი“, „მონაკო“, „ბრიუგე“, „ბენფიკა“

„ბარსელონას“ არაფერი აქვს საწინააღმდეგო ძირითადი მეკარის, ვიქტორ ვალდესისა, მაგრამ ნაკლებად ენდობა სათადარიგოებს, ხორკერას, რუბენს და ხავი რუისს. ამიტომაც, კლუბის თავკაცობა ეძებს ახალგაზრდა, ამბიციურ მეკარეს, რომელსაც სრულფასოვნად შეეძლება ვალდესის შეცვლა. ასეთად კი სწორედ ბენუა კოსტელი მიაჩნიათ, რომელსაც სპეციალისტები ევროპის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ მეკარედ თვლიან და შესაშური რეაქციით გამოირჩევა. კატალონიელებმა „კაენთან“ მოლაპარაკება ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში წამოიწყეს, ფეხბურთელთანაც წინასწარი შეთანხმება მიღწეულია.

**2. გაბრიელ მილიტო**
24 წლის, ცენტრალური მცველი.
„სარაგოსა“ (არგენტინა)
სატრანსფერო ფასი:
12 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
8-14 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ვალენსია“, „ინტერი“



მიმდინარე სეზონმა გამოაჩინა, რომ „ბარსას“ დაცვაში აშკარად უჭირს, მით უფრო, გუნდი ტრავმებმაც გააწამა. პუიოლ-მარკესის წყვილი საიმედო კია, მაგრამ ერთ-ერთის უთამაშებლობის გამო გუნდის დაცვის ცენტრი მოიშლება. 24 წლის მილიტო კი პოზიციის სწორად შერჩევის უნარითა და თავით კარგად თამაშით გამოირჩევა. მილიტოზე ლაპარაკისას უნდა გავიხსენოთ, რომ ამ სეზონის დასაწყისში ის, ფაქტობრივად, „რეალის“ ფეხბურთელი იყო, თუმც მადრიდელებმა არგენტინელი ბოლო წამს მუხლის ტრავმის გამო დაიწუნეს. მოგვიანებით, „რეალისა“ და მილიტოს გზები ესპანეთის სამეფო თასის ფინალში შეიყარა. „სარაგოსას“ სენსაციურ გამარჯვებაში მილიტოს წილი აუწონავი იყო. ამის მერე არგენტინელი რეალმოძულედ მონათლეს და, როგორც ახლა ამბობენ, ეს გარემოებაც მის გაბარსელონელებას შეუწყობს ხელს.

**3. ვენსან კომპანი**
17 წლის, ცენტრალური და მარჯვენა მცველი, საყრდენი ნახევარმცველი.
„ანდერლეხტი“ (ბელგია)
სატრანსფერო ფასი:
4 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
8-12 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„მანჩესტერ იუნაიტედი“, „არსენალი“, „რეალი“, „ბრიუგე“, „მარსელი“, „ლიონი“, „მილანი“, „რომა“, „ინტერი“, „პარმა“, „ჩელსი“, „ტოტენჰემი“, „ევერტონი“, „ლივერპული“, „ბაიერნი“

ევროპული ფეხბურთის უკვე ვარსკვლავი „ბარსელონას“ დაცვა-ნახევარდაცვის შესადუღაბებლად სჭირდება. უნიჭიერესი და უნივერსალი კომპანის ხელში ჩაგდება კატალონიელებს ძალიან გაუჭირდებათ. ბელგიელზე ევროპის თითქმის ყველა ბობოლა კლუბი ნადირობს. „ანდერლეხტიც“ კომპანის მას დაუთმობს, ვისგანაც მეტ სარგებელს ნახავს.

**4. ეშლი კოული**
24 წლის, მარცხენა მცველი.
„არსენალი“ (ინგლისი)
სატრანსფერო ფასი:
8 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
20-28 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ჩელსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „რეალი“, „იუვენტუსი“

კატალონიელებს დაცვის მარცხენა ფრთაზე აშკარად უჭირთ, სილვინიო და ვან ბრონკჰორსტი მობერდნენ, ფერნანდო ნავარო ახალგაზრდაა, მაგრამ გამოუცდელი, ეშლი კოული კი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენა მცველია. მას გუნდის შეტევების გამწვავებაც ეხერხება, მაგრამ „ბარსას“ კოულის შეძენა ძალიან გაუჭირდება. მართალია, კატალონიელებს კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ ლონდონელებთან, როცა შარშან ფრანსისკ ფაბრეგასი დაუთმეს და „არსენალის“ ბოსებსაც მისი გაყიდვა გადაუწყვეტიათ, მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, კოულის გაბარსელონელებას რომ ხელს შეუშლის. პირველი მაღალი სატრანსფერო ფასია, მერე ინგლისელის მოსურნე უმდიდრესი კლუბები. თუმც ეს ყველაფერი შესაძლოა სათვალავშიც არ იყოს ჩასაგდები, თუ ამ ბოლო დროს ეშლი კოულის თავს დატრიალებულ ამბებს გავიხსენებთ. საქმე ისაა, რომ კოულ-მაურინიუს მალული მოლაპარაკების ამბავს ახლა პრემიერლიგის სამსჯავრო არჩევს და ვინძლო ფეხბურთელი დისკვალიფიკაციითაც დასაჯონ.

**5. ასიერ დელ ორნო**
24 წლის, მარცხენა მცველი.
„ბილბაო“ (ესპანეთი)
სატრანსფერო ფასი:
6 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
7-10 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბი:
„რეალი“

დღესდღეობით ალბათ უძლიერესი ესპანელი მარცხენა მცველი. გამორჩეული საშუალო და შორი მანძილებიდან ძლიერი და ზუსტი დარტყმებით. იშვიათად გააქვს და აქედან უმეტესად მადრიდის „რეალის“ კარში. „ბარსას“ მის ხელში ჩასაგდებად სწორედ „სამეფო კლუბი“ ეცილება, მაგრამ სპეციალისტთა აზრით, მეტი შანსი კატალონიელებს აქვთ. ჯერ ერთი, თავად დელ ორნო ამჯობინებს მადრიდს ბარსელონას და მეორეც, „ბილბაოს“ სპორტული დირექტორი ანდონი სუბისარეტა და მისი კატალონიელი კოლეგა ჩიკი ბეგირისტაინი ყოფილი ბარსელონელები და მეგობრები არიან. ამიტომაც მათ დელ ორნოს ტრანსფერზე შეთანხმება არ უნდა გაუჭირდეთ.

**6. მარკ ვან ბომელი**
27 წლის, საყრდენი ნახევარმცველი.
„პსვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია)
სატრანსფერო ფასი:
15 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„რეალი“, „ბლექბერნი“, „ინტერი“.

ორი დღის წინ კატალონიელებმა ვან ბომელთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმეს და მის „ბარსელონაში“ გადასვლას ხელს ალბათ ველარაფერი შეუშლის. „ბარსას“ ტექნიკურ და მოძრავ ნახევარდაცვას სწორედ ვან ბომელივით მშრომელი, ამავე დროს გამჭრიახი საყრდენი ნახევარმცველი ნაღდად დაამშვენებს — ხავი-დეკოვან ბომელი-მოტა — ასე წარმოუდგენიათ მომავალ სეზონში კატალონიის სიამაყის ხერხემალი.

**7. ჟულიო ბაპტისტა**
23 წლის, შემტევი ნახევარმცველი.
„სევილია“ (ბრაზილია)
სატრანსფერო ფასი:
23 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
20-35 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ატლეტიკო“, „ინტერი“, „არსენალი“

ორი წლის მანძილზე უნივერსალურმა ბრაზილიელმა გაოცა ესპანეთი. საყრდენი ნახევარმცველიდან ჯერ შემტევ ნახევარმცველად, მერე ცენტრალურ ფორვარდად მოევლინა პრიმერადივიზიონს. სწორედ ბაპტისტას უნივერსალიზმი ხიბლავს კატალონიელებს, მაგრამ „ბარსაში“ ვან ბომელის გადასვლის მერე ბრაზილიელის ტრანსფერი შესაძლოა არც შედგეს.

**8. მიხაელ ბალაკი**
28 წლის, ცენტრალური ნახევარმცველი.
[illegible] (გერმანია)
სატრანსფერო ფასი:
30 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
25-35 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ჩელსი“, „რეალი“.

გერმანელის გადაბირებას „ბარსელონა“ შარშანაც ცდილობდა, მაგრამ „ბაიერნმა“ ისეთი ფასი დაადო, კატალონიელებმა უკან დაიხიეს. ლაპორტას ბანაკი წლეულსაც შეეცდება ბალაკის გადაყვანას და როგორც ამბობენ, ფულთან ერთად მიუნხენელებს ლუდოვიკ ჟიულისა და ხერარდ ლოპესს შესთავაზებენ. არ არის გამორიცხული, ლაპორტამ ჰიონესს ხუან რომან რიკელმეს სახელიც უხსენოს.

**9. ხოსე ანტონიო გიარე**
24 წლის, შემტევი მარჯვენა და მარცხენა ნახევარმცველი.
„ვილიარეალი“ (ესპანეთი)
სატრანსფერო ფასი:
10 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
7 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ატლეტიკო“, „ვალენსია“, „ლიონი“

ლუდოვიკ ჟიულის გუნდიდან წასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, მარჯვენა ფლანგზე მისი შეცვლა კი სწორედ გიარეს შეეძლება. ვილიარეალელი უნივერსალური თვისებებითაც გამოირჩევა, მას მარცხენა ფლანგზე ნავარდიც ეხერხება და საჭიროებისას ცენტრფორვარდობასაც იკისრებს. ბარსელონელებმა გიარე შესაძლოა, სულაც უფასოდ ჩაიგდონ ხელში, თუ, რა თქმა უნდა, „ვილიარეალს“ ზემოთ ნახსენებ ხუან რომან რიკელმეს იაფად დაუთმობენ.

**10. ფრანსისკო იესტე**
28 წლის, შემტევი ნახევარმცველი.
„ბილბაო“ (ესპანეთი)
სატრანსფერო ფასი:
17 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
20-25 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ვალენსია“, „ევერტონი“, „ვილიარეალი“, „მიდლსბრო“

„ბარსას“ იესტეს გადაბირება გაუჭირდება, ის ბილბაოელთა ძირითადი ფეხბურთელია და იულენ გეროს მემკვიდრედ მიიჩნევენ. ტექნიკურია, უნივერსალი, ბრწყინვალედ ასრულებს სტანდარტულ მდგომარეობებს.

**11. სანტიაგო ესკერო**
28 წლის, თავდამსხმელი.
„ბილბაო“ (ესპანეთი)
სატრანსფერო ფასი:
8 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„ვალენსია“, „ატლეტიკო“

„ბარსა“ თავდასხმის გაძლიერებასაც ეშურება და ამიტომაც დაადგა თვალი ბილბაოელ ესკეროს. ესკეროს გადასაბირებლად იბრძვის მისი ყოფილი კლუბი, მადრიდის „ატლეტიკოც“. კატალონიელები ჯერჯერობით არ ჩქარობენ და მოვლენების განვითარებას აკვირდებიან.

**12. შონ რაიტ-ფილიპსი**
23 წლის, შემტევი ნახევარმცველი.
„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი)
სატრანსფერო ფასი:
15 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
18-25 მილიონი ევრო

რაიტ-ფილიპსის ხელში ჩაგდება თითქმის ყველა ინგლისურ ბობოლა კლუბს სურს.

ბარსელონელებს ინგლისელი გიარეს მსგავსად, ჟიულის შემცვლელად შეუგულებიათ. ამ ნიჭით უხვად დაჯილდოებული ბრიტანელის სათამაშო სტილიც „ბარსას“ შემტევ ფეხბურთს, ვინძლო, ძალზედ მოუხდეს.

**13. ფერნანდო ტორესი**
20 წლის, თავდამსხმელი.
„ატლეტიკო“ (ესპანეთი)
სატრანსფერო ფასი:
25 მილიონი ევრო
გარიგების შესაძლო ფასი:
35-45 მილიონი ევრო
სხვა მსურველი კლუბები:
„მილანი“, „ჩელსი“



„ბარსელონას“ უკვე რა ხანია, სურს ამ უნიჭიერესი ფორვარდის შეძენა, მაგრამ ამაოდ. მადრიდელებს თავისი ბრილიანტი ძალიან ძვირად უღირთ. წლევანდელ ზაფხულს ლაპორტა ტორესის სანაცვლოდ „ატლეტიკოს“ ფულს, ხუან რიკელმეს, ხავიერ სავიოლასა და ტიაგო მოტას შესთავაზებს, პლუს იტალიური „მილანის“ ვალს გაუსტუმრებს. აქ ერთიც უნდა გავიხსენოთ, თავად ტორესს „ატლეტიკოს“ გარდა ესპანეთში მხოლოდ „ბარსელონაში“ თამაში სურს. მოლაპარაკებები კლუბებს შორის უკვე დეკემბრიდან მიმდინარეობს.

**სოსო ქოტორეიშვილი**

# 100 იუბილარი

# ინდეპენდიენტე (არგენტინა)

დაარსდა 1905 წლის 25 მარტს
არგენტინის ჩემპიონი (14):
1938, 39, 48, 60, 63, 67, 70, 71, 77, 78, 83, 88, 94, 2002
ლიბერტადორესის თასის მფლობელი (7):
1964, 65, 72, 73, 74, 75, 84
სამხრეთ ამერიკის სუპერთასის მფლობელი (2):
1994, 95
საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (2):
1973, 84
სტადიონი: „ესტადიო ინდეპენდიენტე"
(ტევადობა 57 098)
პრეზიდენტი: ანდრეს დუკატენსეილერი
მწვრთნელი: სესარ ლუის მენოტი



70-იანი წლების ოქროს „ინდეპენდიენტე"

# დამოუკიდებელი

## გუნდი, რომელმაც 0:40 წააგო

*ამ დღეებში არგენტინული „ინდეპენდიენტეს" ოფიციალურ საიტზე შესულთ ასეთი განცხადება დაგხვდებოდათ: „შაბათს, 26 მარტს, 18 საათზე, მთელი ქვეყნიდან ჩამოსული ათასობით გულშემატკივრის ქარავანი მაისის ავენიუდან დაიძრება, 9 ივლისის ავენიუს გავლით გადაჰკვეთს პეირტონის ხიდს და მიადგება მიტრეს ავენიუს, სადაც დასრულდება ეს საზეიმო მსვლელობა".*

*რა რჯის ამ ხალხს, მსვლელობას რომ აწყობენ? პასუხი ასეთია: „ინდეპენდიენტე" მეასე დაბადების დღეს იხდის*

**იმ ძველ** დროში, საუკუნის წინ, გუნდებს ძირითადად მუშები აარსებდნენ, „ინდეპენდიენტე" კი შეიძლება ითქვას, მაღაზიის გამყიდველთა კლუბია.

ბუენოს აირესში, ვიქტორიას (ახლანდელი იპოლიტო ირიგოიენის) და პერუს ქუჩების კუთხეში იყო მდიდრული უნივერმაღი, რომელსაც „ლონდონი" ერქვა. ამ მაღაზიის თანამშრომლებმა 1904 წელს საკუთარი ფეხბურთის გუნდის დაარსება განიზრახეს და წადილი აისრულეს კიდეც. გუნდს „მაიპუ ბანფილდი" დაარქვეს. გუნდის დაარსებისთანავე, ერთმა პრობლემამ იჩინა თავი — მაღაზია ძალიან დიდი იყო და შესაბამისად, უამრავი ადამიანი მუშაობდა. ფეხბურთს კი მოგეხსენებათ, 11 კაცი თამაშობს, პლუს რამდენიმე სათადარიგო.

ერთი სიტყვით, გუნდში ადგილი ყველასთვის არ მოიძებნა, არადა საწევროს, თვეში 50 ცენტს, ყველა პატიოსნად იხდიდა. გუნდიც უცნაური წესით იყო დაკომპლექტებული, არავინ უყურებდა, ვის როგორ შეეძლო თამაში — მთავარი უფროს-უმცროსობის წესი გახლდათ. თამაშით სექციების უფროსები თამაშობდნენ, უბრალო გამყიდველები კი გარედან უყურებდნენ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, საწევროებს პატიოსნად იხდიდნენ. განზე დარჩენილთა უკმაყოფილებამ თავი, რა თქმა უნდა, ვერ დამალა და იმავ 1904 წლის 4 აგვისტოს, სადაც ვიწროა იქ გაწყდესო, ეგრე მოხდა.

ნახსენებ დღეს, მაღაზიის დაკეტვის მერე, განზე დარჩენილი გამყიდველები იქვე, ვიქტორიას ქუჩის ერთ კაფეში შეიკრიბნენ და ფინჯანი ყავის თანხლებით თავიანთ პრობლემებზე დაიწყეს ბჭობა. ისტორიამ შემოინახა იმ ადამიანის სახელი, ვინაც ამ ბჭობის მოთავე იყო: როსენდო დეჯორჯი, ფეხსაცმლის სექციის გამყიდველი.

მოკლედ, გადაწყდა, რომ დაჩაგრულ თანამშრომლებს თავისი კლუბი უნდა შეექმნათ, ხოლო სიტყვა, რომელიც ვიქტორიას ქუჩაზე მდებარე იმ კაფეში ყველაზე მეტჯერ ითქვა, „დამოუკიდებელი" იყო, რაც, ესპანურად ასე ჟღერს — ინდეპენდიენტე.

როსენდო დეჯორჯის კლუბის დამფუძნებელი კრების მომზადება დაევალა და კლუბის დამფუძნებელთა სიაც იქვე კაფეში დაიწერა.

დეჯორჯი საქმეს შეუდგა და რამდენიმე თვის მუშაობის მერე თანამოაზრეებს უთხრა, ყველაფერი მზად არის, შეგვიძლია დამფუძნებელი კრების დრო დავთქვათო. წინა საახალწლო დღეები იყო და გადაწყვიტეს, ახალი კლუბი 1 იანვარს დაეარსებინათ. საქმის დაწყება ახალი წლის პირველ დღეს უფრო სიმბოლური იქნებოდა, მაგრამ... დამფუძნებელთა უმრავლესობას საახალწლო სუფრასთან ღამის თევის მერე კრებაზე მისვლა დაავიწყდა...

საბოლოოდ კრება მაინც ჩატარდა და მისი გამართვის დღე, 1905 წლის 25 მარტი, კლუბის დაბადების დღედ გამოცხადდა. ყველაზე საინტერესო კი აი, რა არის: კლუბის პირველ პრეზიდენტად არა როსენდო დეჯორჯი, არამედ ედელმირო ლანგონე აირჩიეს. კლუბს „ატლეტიკო ინდეპენდიენტე" დაერქვა, საწევროდ კი თვეში 25 ცენტი დაწესდა. იმ დროს ბურთი რვანახევარი პესო ღირდა ანუ ერთი ბურთის ყიდვას 34 კაცის საწევრო სჭირდებოდა.

ამის მერე კი დაიწყო კლუბის საფეხბურთო ისტორია, რომელიც თავიდან სამწუხარო იყო. „ინდეპენდიენტემ" თავისი პირველი მატჩი 1:21 წააგო. თითქოს უარესი რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ არა: მეორე მატჩში, „რასინგთან" „დამოუკიდებლებმა" 0:40 წააგეს.

ისტორია გვამცნობს, რომ 1907 წელს გუნდმა პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა. მისი მეტოქე ურუგვაული „ბრისტოლი" იყო, თამაში კი 0:0 დასრულდა. მაგრამ ეს მატჩი ისტორიაში უფრო სხვა მიზეზით შევიდა — ამ მატჩში „ინდეპენდიენტეს" პირველად ემოსა წითელი მაისურები. წითელი დღემდე კლუბის ფერად დარჩა. იდეა კი პრეზიდენტ ლანგონეს გაუჩნდა, როცა არგენტინაში ტურნეს მოსაწყობად ჩასული ინგლისური „ნოტინგემ ფორესტის" მატჩი ნახა. წითელი „ნოტინგემის" ფერი იყო.

მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, თუმცა „ინდეპენდიენტეს" თითოეული გამარჯვების თუ ჩავარდნის აღწერას აქ არ შევუდგებით — მშრალი სტატისტიკური ანგარიში გამოგვივა. ხოლო საინტერესო რაც იყო, დაარსების ისტორია, უკვე მოგიყევით.

ბოლოს ერთიც დავამატოთ, ყველაზე განთქმული ფეხბურთელი, რომელსაც „ინდეპენდიენტეში" უთამაშია, არგენტინის 1986 წლის ლეგენდარული ნაკრების ნახევარმცველი ხორხე ბურუჩაგა გახლავთ.

**გიორგი დარჯანია**



ეს სტადიონი „ინდეპენდიენტეს" საშინაო თამაშებზე ყოველთვის პირთამდე ივსება



„ინდეპენდიენტეს" ერთადერთი სახელგანთქმული ლეგენდა ხორხე ბურუჩაგა იყო

# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 17:45 | 4 | ლუტონი-ბარნსლი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 18:00 | 5 | ჰადერსფილდი-კოლჩესტერი | 2.55 | 3.3 | 2.45 | 1.43 | 1.24 | 1.4 |
| 18:00 | 7 | ლონსი-სვინდონი | 2.5 | 3.2 | 2.55 | 1.4 | 1.26 | 1.41 |
| 22:45 | 8 | ჰარტლეპული-პიტერბორო | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 10 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 16:00 | 11 | ჰალი-პორტ ვეილი | 1.35 | 4.5 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.73 |
| 16:00 | 12 | უოლსოლი-ტორკი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 16:00 | 13 | ბლეკპული-ოლდემი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 24 | საუთენდი-როჩდეილი | 1.7 | 3.4 | 4.35 | 1.13 | 1.22 | 1.9 |
| 18:00 | 25 | ბერი-გრიმსბი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 18:00 | 26 | ლეიტონი-სკანთორპი | 2.05 | 3.3 | 3.1 | 1.26 | 1.23 | 1.59 |
| 22:30 | 27 | კიდერმინსტერი-ოქსფორდი | 1.65 | 3.4 | 4.5 | 1.11 | 1.2 | 1.93 |
| 22:45 | 28 | შრუსბერი-კემბრიჯი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| 22:45 | 29 | რაშდენი-დარლინგტონი | 2.7 | 3.3 | 2.3 | 1.48 | 1.24 | 1.35 |
| 22:45 | 30 | სუონსი-მაკლსფილდი | 2.2 | 3.3 | 2.8 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:45 | 31 | უიკომბი-ნორთჰემპტონი | 2.1 | 3.3 | 3.0 | 1.28 | 1.23 | 1.57 |
| 22:45 | 32 | მანსფილდი-ლინკოლნი | 1.8 | 3.3 | 3.8 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 15:15 | 33 | ბოსტონი-იოვილი | 2.75 | 3.3 | 2.25 | 1.5 | 1.23 | 1.33 |
| 16:00 | 34 | ნოტსი-რაშდენი | 2.2 | 3.3 | 2.85 | 1.32 | 1.24 | 1.52 |
| 16:00 | 35 | დარლინგტონი-კიდერმინსტერი | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 16:00 | 51 | კანვეი-კარლაილი | 2.75 | 3.3 | 2.25 | 1.5 | 1.23 | 1.33 |
| 18:00 | 52 | ქროული-ლეი | 1.35 | 3.9 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.62 |
| 18:00 | 53 | ფარნბორო-ჰერეფორდი | 3.6 | 3.3 | 1.9 | 1.72 | 1.24 | 1.2 |
| 18:00 | 54 | ფორესტ გრინი-ბარნეტი | 4.3 | 3.4 | 1.7 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 22:45 | 55 | ჰალიფაქსი-ტამვორთი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 18:00 | 56 | მორკემბი-ექსეტერი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 57 | ნორთვიჩი-გრეივზენდი | 2.25 | 3.3 | 2.7 | 1.33 | 1.22 | 1.48 |
| 18:00 | 58 | სტივენიჯი-დაგ. ენდ რედი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 22:45 | 59 | ბარტონი-აქრინგტონი | 2.55 | 3.2 | 2.45 | 1.41 | 1.24 | 1.38 |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 16:45 | 60 | ალდერშოტი-იორკი | 2.25 | 3.3 | 2.75 | 1.33 | 1.23 | 1.5 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 72 | აირი-ფორფარი | 2.3 | 3.4 | 2.5 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 18:00 | 73 | ბერვიკი-ალოა | 2.45 | 3.4 | 2.35 | 1.42 | 1.19 | 1.38 |
| 18:00 | 74 | დამბარტონი-სტრანრარი | 2.8 | 3.5 | 2.1 | 1.55 | 1.2 | 1.31 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 18:00 | 441 | ისტ ფაიფი-ელგინი | 2.2 | 3.3 | 2.65 | 1.32 | 1.2 | 1.46 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 19:30 | 114 | კრიენსი-შო დე ფონი | 1.4 | 4.0 | 6.5 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| 19.30 | 115 | კრიენსი-შო დე ფონი0:1 | 1.9 | 3.8 | 2.4 | | | |
| 19:00 | 116 | ბულე-ვადუცი | 2.15 | 3.2 | 2.8 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 117 | ვერონა-ჯენოა | 2.55 | 2.6 | 2.9 | 1.28 | 1.35 | 1.37 |
| 17:00 | 118 | არეცო-მოდენა | 2.3 | 2.7 | 3.25 | 1.24 | 1.34 | 1.47 |
| 17:00 | 119 | ასკოლი-პიაჩენცა | 1.95 | 2.8 | 3.9 | 1.14 | 1.29 | 1.62 |
| 17:00 | 120 | კატანია-კროტონე | 1.65 | 3.0 | 5.5 | 1.06 | 1.26 | 1.94 |
| 17:00 | 121 | კატანძარო-ჩეზენა | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| 17:00 | 122 | ემპოლი-პერუჯა | 2.1 | 2.7 | 3.6 | 1.18 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 123 | სალერნიტანა-ვიჩენცა | 1.6 | 3.1 | 5.8 | 1.05 | 1.25 | 2.02 |
| 17:00 | 124 | ტერნანა-ბარი | 2.1 | 2.6 | 3.7 | 1.16 | 1.33 | 1.52 |
| 17:00 | 125 | ტორინო-პესკარა | 1.55 | 3.1 | 6.0 | 1.03 | 1.23 | 2.04 |
| 17:00 | 126 | ტრევიზო-ვიჩენცა | 1.65 | 3.0 | 5.7 | 1.06 | 1.27 | 1.96 |
| 17:00 | 127 | ტრიესტინა-ალბინოლეფე | 2.1 | 2.7 | 3.5 | 1.18 | 1.31 | 1.52 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 16:30 | 129 | კრემონეზე-ლეკო | 1.35 | 4.0 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.6 |
| 16:30 | 130 | გროსეტო-პავია | 2.3 | 2.5 | 3.45 | 1.19 | 1.37 | 1.44 |
| 16:30 | 131 | ლუმეძანე-პრო პატრია | 2.35 | 2.5 | 3.3 | 1.21 | 1.37 | 1.42 |
| 16:30 | 132 | მანტოვა-სპეცია | 1.35 | 3.7 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.52 |
| 16:30 | 133 | ნოვარა-ფიორენცუოლა | 2.65 | 2.6 | 2.75 | 1.31 | 1.34 | 1.33 |
| 16:30 | 134 | პიზა-ალესანდრია | 1.65 | 2.8 | 6.0 | 1.03 | 1.29 | 1.9 |
| 16:30 | 135 | სანჯოვანეზე-პრატო | 1.5 | 3.3 | 7.0 | 1.03 | 1.23 | 2.24 |
| 16:30 | 136 | ტორესი-პისტოიეზე | 2.45 | 2.6 | 3.0 | 1.26 | 1.34 | 1.39 |
| 16:30 | 137 | ვერჩელი-ლუკეზე | 2.35 | 2.7 | 3.0 | 1.25 | 1.31 | 1.42 |
| | | **იტალია. სერია C1/B** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 16:30 | 138 | სამბენედეტეზე-ნაპოლი | 3.1 | 2.7 | 2.3 | 1.44 | 1.32 | 1.24 |
| 16:30 | 139 | ჩიეტი-პესარო | 1.8 | 2.8 | 4.5 | 1.09 | 1.28 | 1.72 |
| 16:30 | 140 | მარტინა-აველინო | 2.9 | 2.6 | 2.5 | 1.37 | 1.34 | 1.27 |
| 16:30 | 141 | პადოვა-ფერმანა | 1.65 | 2.8 | 5.8 | 1.03 | 1.28 | 1.88 |
| 16:30 | 142 | რეჯანა-ბენევენტო | 1.9 | 2.7 | 4.3 | 1.11 | 1.31 | 1.65 |
| 16:30 | 143 | რიმინი-ფოჯა | 1.5 | 3.1 | 7.0 | 1.01 | 1.23 | 2.14 |
| 16:30 | 144 | სორა-ლანჩანო | 2.65 | 2.6 | 2.8 | 1.31 | 1.36 | 1.34 |
| 16:30 | 145 | სპალ-ჯულიანოვა | 1.75 | 2.8 | 5.0 | 1.07 | 1.29 | 1.79 |
| 16:30 | 146 | ტერამო-ნოჩერინა | 1.95 | 2.6 | 4.3 | 1.11 | 1.34 | 1.62 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 20:30 | 151 | მალაგა ბ-სელტა | 3.4 | 2.9 | 2.1 | 1.56 | 1.29 | 1.21 |
| 20:30 | 156 | ტერასა-ალავესი | 2.9 | 2.8 | 2.4 | 1.42 | 1.31 | 1.29 |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 147 | კადისი-ფეროლი | 1.6 | 3.2 | 5.5 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| 22:00 | 148 | სიუდადი-ეიბარი | 2.85 | 2.9 | 2.4 | 1.43 | 1.3 | 1.31 |
| 20:30 | 149 | კორდობა-სპორტინგი | 2.0 | 2.9 | 3.8 | 1.18 | 1.31 | 1.64 |
| 22:30 | 150 | ელჩე-ტარაგონა | 1.85 | 2.9 | 4.3 | 1.12 | 1.29 | 1.73 |
| 20:00 | 152 | ეხიდო-ჰუელვა | 2.6 | 2.8 | 2.7 | 1.34 | 1.32 | 1.37 |
| 20:00 | 153 | პონფერადინა-ხერესი | 2.9 | 2.9 | 2.4 | 1.45 | 1.31 | 1.31 |
| 20:00 | 154 | სალამანკა-მურსია | 2.2 | 2.9 | 3.3 | 1.25 | 1.32 | 1.54 |
| 21:00 | 155 | ტენერიფე-ლლეიდა | 2.0 | 2.9 | 3.7 | 1.18 | 1.29 | 1.62 |
| 20:00 | 157 | ვალიადოლიდი-ალმერია | 1.7 | 3.1 | 5.0 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 159 | კრეტეი-მონპელიე | 2.4 | 2.8 | 2.9 | 1.29 | 1.31 | 1.42 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 20:00 | 160 | ტრუა-კლერმონი | 1.55 | 3.2 | 6.5 | 1.04 | 1.25 | 2.14 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 162 | ვირტონი-რონსე | 2.55 | 3.1 | 2.4 | 1.39 | 1.23 | 1.35 |
| 22:00 | 163 | ეუპენი-ანტვერპენი | 2.35 | 3.2 | 2.55 | 1.35 | 1.22 | 1.41 |
| 22:00 | 292 | ვარეგემი-პატრო | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 161 | ვისე-სტ.ჟილი | 2.3 | 3.2 | 2.6 | 1.33 | 1.22 | 1.43 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 171 | კამბური-ტელსტარი | 1.85 | 3.4 | 3.6 | 1.19 | 1.22 | 1.74 |
| 22:00 | 172 | ეინდჰოვენი-ვენლო | 3.0 | 3.5 | 2.0 | 1.61 | 1.2 | 1.27 |
| 22:00 | 175 | ჰაარლემი-ჰერაკლესი | 3.4 | 3.5 | 1.85 | 1.72 | 1.19 | 1.21 |
| 22:00 | 176 | მაასტრიხტი-ვეენდამი | 2.35 | 3.4 | 2.6 | 1.38 | 1.23 | 1.47 |
| 22:00 | 177 | ოსი-აპელდორნი | 2.0 | 3.4 | 3.2 | 1.25 | 1.23 | 1.64 |
| 22:00 | 178 | ვალვეიკი-სიტარდი | 1.5 | 3.6 | 5.3 | 1.05 | 1.16 | 2.14 |
| 22:00 | 179 | ზვოლე-სპარტა | 2.55 | 3.4 | 2.4 | 1.45 | 1.23 | 1.4 |
| | | **ჩეხეთი. 27 მარტი** | | | | | | |
| 19:00 | 185 | დრნოვიცე-იაბლონეცი | 2.1 | 3.0 | 3.2 | 1.23 | 1.26 | 1.54 |
| | | **ირლანდია** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 22:30 | 271 | უოტერფორდი-დერი | 1.6 | 3.4 | 5.0 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 22:45 | 272 | კორკი-ბრეი | 1.35 | 4.2 | 7.0 | 1.02 | 1.13 | 2.62 |
| 22:45 | 274 | შემროკი-შელბორნი | 3.25 | 3.2 | 1.95 | 1.61 | 1.21 | 1.21 |
| 22:45 | 275 | სტ.პატრიკსი-ბოჰემიანსი | 2.75 | 3.0 | 2.3 | 1.43 | 1.25 | 1.3 |
| 22:45 | 276 | დუბლინი-დროგედა | 2.45 | 3.1 | 2.5 | 1.36 | 1.23 | 1.38 |
| | | **მჩ. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **25 მარტი** | | | | | | |
| 9:35 | 244 | კორეა-ბაჰრეინი | 1.95 | 3.1 | 3.5 | 1.19 | 1.25 | 1.64 |
| 16:35 | 245 | ირანი-იაპონია | 2.3 | 3.1 | 2.65 | 1.32 | 1.23 | 1.42 |
| 19:45 | 246 | ქუვეითი-უზბეკეთი | 2.05 | 3.1 | 3.2 | 1.23 | 1.24 | 1.57 |
| 19:45 | 247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 2.6 | 3.1 | 2.45 | 1.41 | 1.26 | 1.36 |
| | | **26 მარტი** | | | | | | |
| 17:00 | 209 | ხორვატია-ისლანდია | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| 18:00 | 210 | ინგლისი-ჩრდ.ირლანდია | 1.15 | 6.0 | 14.0 | 1.0 | 1.06 | 4.19 |
| 18:00 | 211 | უელსი-ავსტრია | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 212 | სლოვაკეთი-ესტონეთი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 18:30 | 213 | ბულგარეთი-შვედეთი | 2.55 | 3.0 | 2.65 | 1.37 | 1.29 | 1.4 |
| 19:00 | 214 | ლიხტენშტაინი-რუსეთი | 12.0 | 6.5 | 1.15 | 4.21 | 1.04 | 1.0 |
| 19:00 | 215 | ესტონეთი-ხორვატია | 3.5 | 3.2 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 20:00 | 217 | პოლონეთი-აზერბაიჯანი | 1.15 | 6.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.21 |
| 20:30 | 218 | საქართველო-საბერძნეთი | 4.3 | 3.2 | 1.75 | 1.83 | 1.24 | 1.13 |
| 20:50 | 219 | ისრაელი-ირლანდია | 3.2 | 3.1 | 2.15 | 1.57 | 1.28 | 1.26 |
| 21:00 | 220 | რუმინეთი-ჰოლანდია | 3.0 | 3.1 | 2.2 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| 21:00 | 221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| 22:00 | 222 | დანია-ყაზახეთი | 1.05 | 8.0 | 25.0 | 1.0 | 1.0 | 6.06 |
| 22:15 | 223 | ბელგია-ბოსნია | 1.6 | 3.4 | 5.5 | 1.08 | 1.23 | 2.1 |
| 23:00 | 224 | იტალია-შოტლანდია | 1.2 | 5.0 | 14.0 | 1.0 | 1.1 | 3.68 |
| 23:00 | 225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.3 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.13 | 3.0 |
| 23:45 | 226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.45 | 3.7 | 6.35 | 1.04 | 1.18 | 2.33 |
| 23:45 | 227 | გვატემალა-ტრინიდადი | 1.85 | 3.2 | 3.75 | 1.17 | 1.23 | 1.72 |
| 23:00 | 248 | ბოლივია-არგენტინა | 5.0 | 3.3 | 1.65 | 1.98 | 1.24 | 1.1 |
| 23:45 | 249 | კოლუმბია-ვენესუელა | 2.45 | 3.1 | 2.65 | 1.36 | 1.27 | 1.42 |
| 23:45 | 250 | ჩილე-ურუგვაი | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 21:00 | 228 | მექსიკა-აშშ | 1.8 | 3.3 | 3.85 | 1.16 | 1.22 | 1.77 |
| 23:00 | 251 | ბრაზილია-პერუ | 1.2 | 5.3 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.46 |
| 23:45 | 252 | ეკვადორი-პარაგვაი | 2.05 | 3.1 | 3.4 | 1.23 | 1.27 | 1.62 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ამხანაგური მატჩები 26 მარტი** | | | | | | |
| 22:00 | 294 | სლოვენია-გერმანია | 3.3 | 3.2 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 23:30 | 295 | პორტუგალია-კანადა | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| 23:45 | 296 | ესპანეთი-ჩინეთი | 1.15 | 5.5 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 3.77 |
| | | **იაპონია. თასი 26 მარტი** | | | | | | |
| 8:00 | 201 | ნიიგატა-კობე | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 8:00 | 202 | ტოკიო-ოიტა | 1.65 | 3.2 | 4.8 | 1.08 | [illegible] | 1.91 |
| 8:00 | 203 | ჰიროსიმა-ვერდი | 2.4 | 3.0 | 2.65 | 1.33 | 1.25 | 1.4 |
| 9:00 | 204 | სერეზო-შიმიძუ | 2.1 | 3.0 | 3.1 | 1.23 | 1.25 | 1.52 |
| 9:00 | 205 | იჩიჰარა-კაშიმა | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.38 | 2.05 |
| 9:00 | 206 | კაშივა-ნაგოია | 2.05 | 3.0 | 3.3 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 7:30 | 207 | კავასაკი-გამბა | 2.8 | 3.0 | 2.3 | 1.44 | 1.26 | 1.3 |
| 10:00 | 208 | ურავა-იოკა | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| | | **ევრ. შესარჩევი მატჩები(21) 25 მარტი** | | | | | | |
| 15:00 | 253 | ესტონეთი(21)-სლოვაკეთი(21) | 4.0 | 3.4 | 1.7 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| 16:00 | 254 | საქართველო(21)-საბერძნეთი(21) | 3.7 | 3.4 | 1.75 | 1.77 | 1.18 | 1.15 |
| 16:00 | 255 | ისრაელი(21)-ირლანდია(21) | 2.4 | 3.1 | 2.55 | 1.35 | 1.23 | 1.39 |
| 16:00 | 256 | ბულგარეთი(21)-შვედეთი(21) | 2.55 | 3.0 | 2.45 | 1.37 | 1.24 | 1.34 |
| 16:00 | 257 | დანია(21)-ყაზახეთი(21) | 1.05 | 7.0 | 25.0 | 1.0 | 1.0 | 5.46 |
| 16:00 | 258 | რუმინეთი(21)-პოლონეთი(21) | 2.5 | 3.1 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| 17:00 | 259 | ხორვატია(21)-ისლანდია(21) | 1.25 | 5.0 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.14 |
| 18:40 | 260 | ჩეხეთი(21)-ფინეთი(21) | 1.2 | 5.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 3.41 |
| 19:30 | 261 | პოლონეთი(21)-აზერბაიჯანი(21) | 1.15 | 6.0 | 11.0 | 1.0 | 1.04 | 3.88 |
| 20:00 | 262 | უელსი(21)-ავსტრია(21) | 2.05 | 3.2 | 3.0 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| 20:30 | 263 | საფრანგეთი(21)-შვეიცარია(21) | 1.4 | 3.8 | 6.5 | 1.02 | 1.15 | 2.39 |
| 21:00 | 264 | თურქეთი(21)-ალბანეთი(21) | 1.25 | 4.5 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.0 |
| 22:30 | 265 | ინგლისი(21)-გერმანია(21) | 2.05 | 3.0 | 3.3 | 1.21 | 1.26 | 1.57 |
| 22:30 | 266 | ბელგია(21)-ბოსნია(21) | 1.25 | 5.0 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.14 |
| 23:00 | 267 | იტალია(21)-შოტლანდია(21) | 1.25 | 5.0 | 8.5 | 1.0 | 1.08 | 3.14 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11209 | სომხეთი-ანდორა | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11211 | უელსი-ავსტრია | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11212 | ხორვატია-ისლანდია | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11213 | ბულგარეთი-შვედეთი | 3.8 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.6 | 20.0 | 10.0 | 3.9 |
| 11215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 5.6 | 10.0 | 20.0 | 6.5 | 4.4 | 3.8 | 20.0 | 10.0 | 2.8 |
| 11216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.5 | 12.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11218 | საქართველო-საბერძნეთი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.1 |
| 11219 | ისრაელი-ირლანდია | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 11220 | რუმინეთი-პოლანდია | 4.6 | 10.0 | 20.0 | 5.3 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.2 |
| 11221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.0 | 11.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11223 | ბელგია-ბოსნია | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11224 | იტალია-შოტლანდია | 1.4 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.5 | 15.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11226 | კოსტა რიკა-პანამა | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11227 | გვატემალა-ტრინიდადი | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.0 |
| 11228 | მექსიკა-აშშ | 2.6 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11244 | კორეა-ბაჰრეინი | 2.8 | 10.0 | 20.0 | 3.8 | 4.4 | 6.5 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 11245 | ირანი-იაპონია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 3.9 | 10.0 | 20.0 | 4.8 | 4.4 | 4.4 | 20.0 | 10.0 | 3.6 |
| 11248 | ბოლივია-არგენტინა | 7.0 | 10.0 | 20.0 | 8.5 | 4.4 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.3 |
| 11249 | ვენესუელა-კოლუმბია | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 4.0 |
| 11250 | ჩილე-ურუგვაი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.6 | 20.0 | 10.0 | 4.8 |
| 11251 | ბრაზილია-პერუ | 1.4 | 12.0 | 30.0 | 3.4 | 4.8 | 12.0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |
| 11252 | ეკვადორი-პარაგვაი | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10209 | სომხეთი-ანდორა | 1.55 | 2.6 | 7.0 | 1.0 | 1.26 | 1.89 |
| 10211 | უელსი-ავსტრია | 2.3 | 2.0 | 4.5 | 1.06 | 1.52 | 1.38 |
| 10212 | ხორვატია-ისლანდია | 1.45 | 2.6 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 1.89 |
| 10213 | ბულგარეთი-შვედეთი | 2.9 | 2.0 | 3.3 | 1.18 | 1.54 | 1.24 |
| 10215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 4.0 | 2.0 | 2.35 | 1.33 | 1.48 | 1.08 |
| 10216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.4 | 2.7 | 7.6 | 1.0 | 1.18 | 1.99 |
| 10218 | საქართველო-საბერძნეთი | 4.5 | 2.0 | 2.15 | 1.38 | 1.45 | 1.03 |
| 10219 | ისრაელი-ირლანდია | 3.7 | 2.0 | 2.55 | 1.29 | 1.5 | 1.12 |
| 10220 | რუმინეთი-პოლანდია | 3.6 | 2.0 | 2.6 | 1.28 | 1.5 | 1.13 |
| 10221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.4 | 2.7 | 7.6 | 1.0 | 1.18 | 1.99 |
| 10223 | ბელგია-ბოსნია | 1.95 | 2.1 | 5.3 | 1.01 | 1.42 | 1.5 |
| 10224 | იტალია-შოტლანდია | 1.35 | 3.0 | 8.0 | 1.0 | 1.15 | 2.18 |
| 10225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.5 | 2.6 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 1.89 |
| 10226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.75 | 2.2 | 5.3 | 1.0 | 1.31 | 1.55 |
| 10227 | გვატემალა-ტრინიდადი | 2.25 | 2.0 | 4.3 | 1.05 | 1.47 | 1.36 |
| 10228 | მექსიკა-აშშ | 2.15 | 2.0 | 4.5 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10244 | კორეა-ბაჰრეინი | 2.3 | 2.0 | 4.2 | 1.06 | 1.48 | 1.35 |
| 10245 | ირანი-იაპონია | 2.5 | 2.0 | 3.65 | 1.11 | 1.48 | 1.29 |
| 10246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 2.5 | 2.0 | 3.75 | 1.11 | 1.5 | 1.3 |
| 10247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10248 | ბოლივია-არგენტინა | 4.65 | 2.0 | 2.1 | 1.39 | 1.44 | 1.02 |
| 10249 | ვენესუელა-კოლუმბია | 2.9 | 2.0 | 3.15 | 1.18 | 1.5 | 1.22 |
| 10250 | ჩილე-ურუგვაი | 2.55 | 2.0 | 3.7 | 1.12 | 1.5 | 1.29 |
| 10251 | ბრაზილია-პერუ | 1.3 | 3.0 | 7.5 | 1.0 | 1.1 | 2.14 |
| 10252 | ეკვადორი-პარაგვაი | 2.6 | 2.0 | 3.8 | 1.13 | 1.54 | 1.31 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13209 | სომხეთი-ანდორა | 1.9 | 1.7 |
| 13211 | უელსი-ავსტრია | 1.7 | 1.9 |
| 13212 | ხორვატია-ისლანდია | 2.0 | 1.6 |
| 13213 | ბულგარეთი-შვედეთი | 1.7 | 1.9 |
| 13215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 1.7 | 1.9 |
| 13216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.9 | 1.7 |
| 13218 | საქართველო-საბერძნეთი | 1.7 | 1.9 |
| 13219 | ისრაელი-ირლანდია | 1.7 | 1.9 |
| 13220 | რუმინეთი-პოლანდია | 1.7 | 1.9 |
| 13221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.9 | 1.7 |
| 13223 | ბელგია-ბოსნია | 1.7 | 1.9 |
| 13224 | იტალია-შოტლანდია | 2.0 | 1.6 |
| 13225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.0 | 1.6 |
| 13226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.7 | 1.9 |
| 13227 | გვატემალა-ტრინიდადი | 1.7 | 1.9 |
| 13228 | მექსიკა-აშშ | 1.7 | 1.9 |
| 13244 | კორეა-ბაჰრეინი | 1.7 | 1.9 |
| 13245 | ირანი-იაპონია | 1.7 | 1.9 |
| 13246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 1.7 | 1.9 |
| 13247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 1.7 | 1.9 |
| 13248 | ბოლივია-არგენტინა | 1.7 | 1.9 |
| 13249 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.7 | 1.9 |
| 13250 | ჩილე-ურუგვაი | 1.7 | 1.9 |
| 13251 | ბრაზილია-პერუ | 2.0 | 1.6 |
| 13252 | ეკვადორი-პარაგვაი | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12209 | სომხეთი-ანდორა | 1.7 | 1.9 |
| 12211 | უელსი-ავსტრია | 1.7 | 1.9 |
| 12212 | ხორვატია-ისლანდია | 1.9 | 1.7 |
| 12213 | ბულგარეთი-შვედეთი | 1.6 | 2.1 |
| 12215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 1.7 | 1.9 |
| 12216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.9 | 1.7 |
| 12218 | საქართველო-საბერძნეთი | 1.6 | 2.0 |
| 12219 | ისრაელი-ირლანდია | 1.7 | 1.9 |
| 12220 | რუმინეთი-პოლანდია | 1.6 | 2.0 |
| 12221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.9 | 1.7 |
| 12223 | ბელგია-ბოსნია | 1.7 | 1.9 |
| 12224 | იტალია-შოტლანდია | 1.9 | 1.7 |
| 12225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.7 | 1.9 |
| 12226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.9 | 1.7 |
| 12227 | გვატემალა-ტრინიდადი | 1.7 | 1.9 |
| 12228 | მექსიკა-აშშ | 1.9 | 1.7 |
| 12244 | კორეა-ბაჰრეინი | 1.6 | 2.0 |
| 12245 | ირანი-იაპონია | 1.6 | 2.0 |
| 12246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 1.6 | 2.0 |
| 12247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 1.6 | 2.0 |
| 12248 | ბოლივია-არგენტინა | 1.7 | 1.9 |
| 12249 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.7 | 1.9 |
| 12250 | ჩილე-ურუგვაი | 1.7 | 1.9 |
| 12251 | ბრაზილია-პერუ | 2.3 | 1.5 |
| 12252 | ეკვადორი-პარაგვაი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება [illegible])

| | | | |
|---|---|---|---|
| 14209 | სომხეთი-ანდორა | 1.07 | 2.9 |
| 14211 | უელსი-ავსტრია | 1.7 | 2.2 |
| 14212 | ხორვატია-ისლანდია | 1.07 | 2.9 |
| 14213 | ბულგარეთი-შვედეთი | 1.9 | 1.9 |
| 14215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 2.2 | 1.7 |
| 14216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.07 | 2.9 |
| 14218 | საქართველო-საბერძნეთი | 2.3 | 1.45 |
| 14219 | ისრაელი-ირლანდია | 2.1 | 1.75 |
| 14220 | რუმინეთი-პოლანდია | 2.0 | 1.8 |
| 14221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.07 | 2.9 |
| 14223 | ბელგია-ბოსნია | 1.3 | 2.5 |
| 14224 | იტალია-შოტლანდია | 1.05 | 2.9 |
| 14225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.15 | 2.55 |
| 14226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.3 | 2.5 |
| 14227 | გვატემალა-ტრინიდადი | 1.7 | 2.2 |
| 14228 | მექსიკა-აშშ | 1.65 | 2.3 |
| 14244 | კორეა-ბაჰრეინი | 1.7 | 2.1 |
| 14245 | ირანი-იაპონია | 1.8 | 2.0 |
| 14246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 1.75 | 2.1 |
| 14247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 1.95 | 1.85 |
| 14248 | ბოლივია-არგენტინა | 2.4 | 1.45 |
| 14249 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |
| 14250 | ჩილე-ურუგვაი | 1.8 | 2.0 |
| 14251 | ბრაზილია-პერუ | 1.05 | 2.9 |
| 14252 | ეკვადორი-პარაგვაი | 1.75 | 2.1 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17209 | სომხეთი-ანდორა | 1.85 | 1.95 |
| 17211 | უელსი-ავსტრია | 1.85 | 1.95 |
| 17212 | ხორვატია-ისლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17213 | ბულგარეთი-შვედეთი | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.85 | 1.95 |
| 17218 | საქართველო-საბერძნეთი | 1.85 | 1.95 |
| 17219 | ისრაელი-ირლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17220 | რუმინეთი-პოლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.85 | 1.95 |
| 17223 | ბელგია-ბოსნია | 1.85 | 1.95 |
| 17224 | იტალია-შოტლანდია | 1.85 | 1.95 |
| 17225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.85 | 1.95 |
| 17227 | გვატემალა-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17228 | მექსიკა-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17244 | კორეა-ბაჰრეინი | 1.85 | 1.95 |
| 17245 | ირანი-იაპონია | 1.85 | 1.95 |
| 17246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 1.85 | 1.95 |
| 17247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 1.85 | 1.95 |
| 17248 | ბოლივია-არგენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17249 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.85 | 1.95 |
| 17250 | ჩილე-ურუგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17251 | ბრაზილია-პერუ | 1.85 | 1.95 |
| 17252 | ეკვადორი-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |

## ფრეს გარეშე(ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16209 | სომხეთი-ანდორა | 1.1 | 4.5 |
| 16211 | უელსი-ავსტრია | 1.35 | 2.3 |
| 16212 | ხორვატია-ისლანდია | 1.05 | 5.5 |
| 16213 | ბულგარეთი-შვედეთი | 1.7 | 1.8 |
| 16215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 2.3 | 1.4 |
| 16216 | ჩეხეთი-ფინეთი | 1.04 | 5.8 |
| 16218 | საქართველო-საბერძნეთი | 2.2 | 1.3 |
| 16219 | ისრაელი-ირლანდია | 2.2 | 1.5 |
| 16220 | რუმინეთი-პოლანდია | 2.0 | 1.55 |
| 16221 | თურქეთი-ალბანეთი | 1.04 | 5.5 |
| 16223 | ბელგია-ბოსნია | 1.2 | 3.0 |
| 16224 | იტალია-შოტლანდია | 1.02 | 7.0 |
| 16225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.05 | 5.0 |
| 16226 | კოსტა რიკა-პანამა | 1.15 | 3.8 |
| 16227 | გვატემალა-ტრინიდადი | 1.35 | 2.5 |
| 16228 | მექსიკა-აშშ | 1.3 | 2.7 |
| 16244 | კორეა-ბაჰრეინი | 1.35 | 2.3 |
| 16245 | ირანი-იაპონია | 1.5 | 2.1 |
| 16246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 1.4 | 2.2 |
| 16247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 1.75 | 1.6 |
| 16248 | ბოლივია-არგენტინა | 2.8 | 1.25 |
| 16249 | ვენესუელა-კოლუმბია | 1.6 | 1.8 |
| 16250 | ჩილე-ურუგვაი | 1.5 | 2.2 |
| 16251 | ბრაზილია-პერუ | 1.02 | 6.5 |
| 16252 | ეკვადორი-პარაგვაი | 1.4 | 2.3 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15209 | სომხეთი-ანდორა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15211 | უელსი-ავსტრია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15212 | ხორვატია-ისლანდია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15213 | ბულგარეთი-შვედეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15215 | ესტონეთი-სლოვაკეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15216 | ჩეხეთი-ფინეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15218 | საქართველო-საბერძნეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15219 | ისრაელი-ირლანდია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15220 | რუმინეთი-პოლანდია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15221 | თურქეთი-ალბანეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15223 | ბელგია-ბოსნია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15224 | იტალია-შოტლანდია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15225 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15226 | კოსტა რიკა-პანამა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15227 | გვატემალა-ტრინიდადი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15228 | მექსიკა-აშშ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15244 | კორეა-ბაჰრეინი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15245 | ირანი-იაპონია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15246 | კუვეიტი-უზბეკეთი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15247 | ს.არაბეთი-ს.კორეა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15248 | ბოლივია-არგენტინა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15249 | ვენესუელა-კოლუმბია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15250 | ჩილე-ურუგვაი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15251 | ბრაზილია-პერუ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15252 | ეკვადორი-პარაგვაი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**ჩემპიონთა ლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **5 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 400 | ლივერპული-იუვენტუსი | 2.55 | 3.1 | 2.6 | 1.39 | 1.28 | 1.41 |
| 22:45 | 401 | ლიონი-პსჟ | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| | | **6 აპრილი** | | | | | | |
| 22:45 | 402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 22:45 | 403 | მილანი-ინტერი | 2.0 | 2.9 | 4.0 | 1.18 | 1.33 | 1.68 |

**უეფას თასი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **7 აპრილი** | | | | | | |
| 20:30 | 404 | ცსკა-ოსერი | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 22:45 | 405 | აუსტრია-პარმა | 2.25 | 3.0 | 3.0 | 1.28 | 1.28 | 1.5 |
| 22:45 | 406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.75 | 3.2 | 4.5 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| 22:45 | 407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |

# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10400 | ლივერპული-იუვენტუსი | 2.9 | 2.0 | 3.2 | 1.18 | 1.52 | 1.23 |
| 10401 | ლიონი-პსჟ | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10402 | ჩელსი-ბაიერნი | 2.2 | 2.0 | 4.6 | 1.04 | 1.48 | 1.39 |
| 10403 | მილანი-ინტერი | 2.6 | 2.1 | 3.6 | 1.16 | 1.5 | 1.32 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10404 | ცსკა-ოსერი | 2.3 | 2.0 | 4.3 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10405 | აუსტრია-პარმა | 2.7 | 2.1 | 3.2 | 1.18 | 1.46 | 1.26 |
| 10406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 2.2 | 2.0 | 5.0 | 1.04 | 1.52 | 1.42 |
| 10407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.9 | 2.3 | 5.3 | 1.04 | 1.39 | 1.6 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.7 | 1.9 |
| 13401 | ლიონი-პსჟ | 1.7 | 1.9 |
| 13402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.7 | 1.9 |
| 13403 | მილანი-ინტერი | 1.7 | 1.9 |
| 13404 | ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13405 | აუსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 13406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 13407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.6 | 2.0 |
| 12401 | ლიონი-პსჟ | 1.7 | 1.9 |
| 12402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.6 | 2.0 |
| 12403 | მილანი-ინტერი | 1.6 | 2.0 |
| 12404 | ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.0 |
| 12405 | აუსტრია-პარმა | 1.7 | 1.9 |
| 12406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |
| 12407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.9 | 1.9 |
| 14401 | ლიონი-პსჟ | 1.65 | 2.2 |
| 14402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.65 | 2.2 |
| 14403 | მილანი-ინტერი | 1.75 | 2.1 |
| 14404 | ცსკა-ოსერი | 1.6 | 2.3 |
| 14405 | აუსტრია-პარმა | 1.8 | 2.0 |
| 14406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.2 |
| 14407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.3 | 2.55 |

## ლუწი რაოდენობის გოლი გავა მატჩში თუ კენტი (0:0 ითვლება ლუწად)

| | | ლუწი | კენტი |
|---|---|---|---|
| 17400 | ლივერპული-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17401 | ლიონი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17403 | მილანი-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 17404 | ცსკა-ოსერი | 1.85 | 1.95 |
| 17405 | აუსტრია-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 17407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15400 | ლივერპული-იუვენტუსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15401 | ლიონი-პსჟ | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15402 | ჩელსი-ბაიერნი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15403 | მილანი-ინტერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15404 | ცსკა-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15405 | აუსტრია-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## რომელი გუნდი გავა შემდეგ ეტაპზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 18400 | ლივერპული-იუვენტუსი | 2.9 | 1.35 |
| 18401 | ლიონი-პსჟ | 1.65 | 2.2 |
| 18402 | ჩელსი-ბაიერნი | 1.65 | 2.2 |
| 18403 | მილანი-ინტერი | 1.55 | 2.3 |
| 18404 | ცსკა-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 18405 | აუსტრია-პარმა | 2.3 | 1.5 |
| 18406 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.65 | 2.0 |
| 18407 | ვილიარეალი-ალკმაარი | 1.4 | 2.6 |

# კურტინაიტისმა გაიფიქრა და წააგო

## ბაბიაშვილს გალაში დარჩენა უნდა



ქართველთათვის ყველაზე საინტერესო აზერბაიჯანული გუნდი ახლა „ნეფტ-დევონია“, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი ნუგზარ კანდელაკი წვრთნის და მასში კიდევ ხუთი ჩვენიანი ირიცხება. „დევონმა“ ახლახან აზერბაიჯანის მძლეთამძლე და აქამდე დაუმარცხებელი „გალა“ დააჩოქა, რითაც, ცხადია, საჩემპიონო განაცხადი გააკეთა. ყველაფრის მიუხედავად, „გალა“ მაინც ითვლება აზერბაიჯანის უძლიერეს გუნდად და ქართველებს მასშიც გვყავს ჩვენიანი — ზვიად ბაბიაშვილი რიმას კურტინაიტისის გუნდის ერთ-ერთი გამწევი ძალაა. „ბაბოს“ გუშინ ბაქოში დავუკავშირდით და საუბარი ცოტა წარსულიდან, „გალას“ „დევონთან“ დამარცხებით დავიწყეთ...

— ის თამაში არ უნდა წაგვეგო. მატჩი ჩვენი უპირატესობით წარიმართა და ბოლოს აღარ გაგვიმართლა. ნუგზარ კანდელაკის გუნდიც კი იმსახურებდა გამარჯვებას, მაგრამ, ვფიქრობ, უფრო ჩვენ...

**— „გალა“ მანამდე არასოდეს დამარცხებულა აზერბაიჯანის ჩემპიონატში და ამ წაგებას როგორი გამოხმაურება მოჰყვა?**

— ეს მართლაც პირველი მარცხი იყო „გალასთვის“ და შესაბამისად ისტორიულიც. ზოგადად, გულშემატკივრებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ შედეგს და ბევრმაც ალბათ რაღაც განსაკუთრებულ მოვლენად აღიქვა, თუმც თავად გუნდში ყველამ ჩვეულებრივად მივიღეთ.

**— როგორ, ხელმძღვანელობა უკმაყოფილო არ იყო?**

— ცხადია, წაგება არავის გახარებია, მაგრამ რამე რადიკალური და სადამსჯელო ზომები არ მიუღიათ გუნდის წევრების მიმართ. სხვათა შორის, რიმას კურტინაიტისი მატჩამდე ამბობდა, არ გამოვრიცხავ, რომ წავაგოთ. აბა, ათიდან ათჯერვე ხომ ვერ გავიმარჯვებთო.

**— ათიდან ათჯერ კი არა, „დევონის“ გარდა აზერბაიჯანის ნებისმიერ გუნდს „გალა“ ასიდან ასივეს მოუგებს...**

— ეგ მართალია, მაგრამ ნუგზარ კანდელაკმა წლეულს საკმაოდ კარგი გუნდი შეკრა, თავადაც ჭკვიანი მწვრთნელია და მის მონდომებას ნაყოფი ხომ უნდა გამოეღო. კურტინაიტისმა ითქვა, ჩვენ მათთან ყოველი მოგების შემდეგ გამარჯვების ინტერესი გვაკლდებოდა, „დევონს“ კი პირიქით, ემატებოდაო. ასე იყო თუ ისე, წავაგეთ, მაგრამ ამ თამაშს არაფერი გადაუწყვეტია. „დევონთან“ ფინალურ სერიას 10-12 მაისს ვიწყებთ და იქ გამარჯვებული იქნება რეალურად ძლიერი. ფინალურ სერიაში უკვე შემთხვევით ვეღარ დაგვამარცხებენ, რადგან ოთხი თამაშის მოგებაა საჭირო, ჩემპიონი რომ გახდე.

**— ახლა შენზეც ვთქვათ ერთი-ორი სიტყვა. კმაყოფილი ხარ შენი თამაშით?**

— უკეთესს ვისურვებდი, მაგრამ არც ახლა ვარ უკმაყოფილო. ბოლო პერიოდში უფრო მეტს ვთამაშობ და პრინციპულ მატჩებში ხუთეულშიც მაყენებს რიმას კურტინაიტისი. ერთი სიტყვით, ბედს არ ვუჩივი.

**— კონტრაქტი როდემდე გაქვს და რას აპირებ?**

— „გალასთან“ კონტრაქტი მაისის ბოლოს მიმთავრდება და მერე რას ვიზამ, ზუსტად არ ვიცი. თუ კურტინაიტისმა ისურვა, კვლავ მის გუნდში დავრჩები, არადა...

**— შენ თავად თუ გინდა აზერბაიჯანში დარჩენა და საერთოდ, რას ფიქრობ, ხომ არ შეცდი, ამ არასაკალათბურთო ქვეყანაში რომ წახვედი სათამაშოდ?**

— არ შევმცდარვარ, რადგან აქ მთლიანად კალათბურთით ვარ დაკავებული. ბევრს ვვარჯიშობ და საკმაოდ კარგი მწვრთნელის ხელშიც მოვხვდი. კურტინაიტისისგან ბევრი რამ ვისწავლე, რამაც ჩემს განვითარებას შეუწყო ხელი. რაც შეეხება, აქ დარჩენას, ჩემზე რომ იყოს, არსადაც არ წავიდოდი. „გალა“ მომავალ სეზონში უფრო ძლიერი იქნება ამ გუნდში კიდევ დიდ ფულს თანაც, თუ ახალ კონტრაქტს გავაფორმებენ, ის ახლანდელზე გაცილებით მისაღები იქნება ჩემთვის — პირობებს გამიუმჯობესებენ.

**— თქვი, კურტინაიტისმა თუ ისურვაო. ვებ თავად ის გაუშვან და უკეთესი მწვრთნელი მიიწვიონ?**

— ეგ გამორიცხულია. კურტინაიტისი აქ კერპივითაა, მისი სიტყვა კანონია და რა უნდა მოხდეს, რომ გაუშვან.

**— ბოლოს ფინალურ სერიაზეც გკითხავ: თქვი, 10-12 მაისს იწყებაო და მანამდე ხომ საკმაოდ დიდი დროა?**

— აქ ახლა ხანგრძლივი შესვენებაა, რადგან აზერბაიჯანის ეროვნული ნაკრები ისლამური ქვეყნების ოლიმპიადაზე მიდის ირანში იქიდან აპრილის ბოლოს დაბრუნდება და მერე ფინალური სერიისთვის დავიწყებთ მზადებას.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 23 მარტი —

**კლიპერსი 111:108 მილუოკი**

კლიპერსი: ლივინგსტონი (2 ქულა, 11 პასი), მეჯიტი (34), როსი (10), ბრენდი (24 ქულა, 10 მოხსნა), კამანი (13 ქულა, 10 მოხსნა); საიმონსი (16), იარიჩი (6), ბრანსონი (6), რებრაჩა (3), მური (2)

მილუოკი: გოლდვაირი (13), რედი (31), მეისონი (14), სმიტი (6), გაძურიჩი (15 ქულა, 11 მოხსნა); კუკოჩი (16), **ფაჩულია** (17 წუთი, 9 ქულა, 8 მოხსნა), სტრიკლენდი (2), ბუთი (2), ფიზერი, გეინისი

**გოლდენ სტეიტი 97:109 დალასი**

გოლდენ სტეიტი: დევისი (22), პიეტრუსი (22), ფიშერი (14)

*ცქიტიშვილი* სათადარიგო იყო

დალასი: ნოვიცკი (29 ქულა, 10 მოხსნა), ვან ჰორნი (24), ტერი (23)

**ტორონტო 85:94 ჩიკაგო**

ტორონტო: როუზი (30), ალსტონი (15)

ჩიკაგო: კარი (16), გორდონი (13)

**შარლოტი 105:120 ფინიქსი**

შარლოტი: ჰარტი (21), ვოლესი (17)

ფინიქსი: მარიონი (26 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (26), სტუდემაიერი (23 ქულა, 14 მოხსნა)

**ინდიანა 100:93 სან ანტონიო**

ინდიანა: მილერი (21), ჯონსონი (18), ჯექსონი (18), კროშერი (18)

სან ანტონიო: ბერი (17), ჰორი (15)

**ნიუ იორკი 107:82 ბოსტონი**

ნიუ იორკი: კროუფორდი (21), არიზა (14)

ბოსტონი: უოლკერი (13 ქულა, 10 მოხსნა)

**ფილადელფია 107:84 დეტროიტი**

ფილადელფია: აივერსონი (39 ქულა, 10 პასი, 5 ჩაჭრა), ვებერი (19), იგუდალა (10 ქულა, 10 მოხსნა, 10 პასი)

დეტროიტი: რ. ვოლესი (17), ბილაფსი (15)

**მინესოტა 107:102 ნიუ ორლეანი**

მინესოტა: გარნეტი (24 ქულა, 13 მოხსნა), ჰადსონი (18)

ნიუ ორლეანი: მალუა (20 ქულა, 17 მოხსნა), სმიტი (20), დიკაუ (17)

# რეჯი XIII

## მილერმა 25 000 შეაგროვა

**მილუოკელები** მთელი სეზონი ამაოდ ეძებენ სტუმრად გამარჯვების ფორმულას. ვერ პოულობენ და ამიტომაც მოსწყდნენ საპლეიოფო ბაქანს. „ბაქსმა“ ზედიზედ მეშვიდე გასვლა წააგო, თან არცთუ უსაშველოდ ძლიერ მასპინძელთან — პირველი წუთიდან საფინალო სირენამდე წამითაც ვერ დაათმობინა ლიდერობა. ესეც ნიშანდობლივია, რომ „მილუოკის“ ამ სეზონში კონფერენციის 15 წარმომადგენლიდან 13-ს ესტუმრა და ყველას თავი დაუხარა.

თავისთავად სიმბოლურად ითქმის, თავი დაუხრიაო, რაკი მილუოკელებმა ასე თუ ისე, იბრძოლეს და საკმაოდ დაბალ ბურთაობაში ჩაამთავრეს შეხვედრა. „ლოს ანჯელეს კლიპერსი“ ერთხან 26 ქულითაც უგებდა ბრძოლაში წასაგებად ჩამოსულ მილუოკელებს და სტუმრებმა სათადარიგო მოთამაშეების — ენტონი გოლდვაირისა და ზაზა ფაჩულიას წყალობით ბოლო მეოთხედში 5 ქულამდე შეამცირეს სხვაობა. მაგრამ „კლიპერსმა“ მალევე უკუიპყრო ინიციატივა და ასე ახლოს აღარ მიუშვა მეტოქე.

ჩანს, „ბაქსის“ მწვრთნელი ტერი პორტერი შეგუებულია უპლეიოფო სეზონს და ბრძოლაში წაგებითაც კმაყოფილდება. აკი შეაქო კიდეც შეგირდები — ბევრი გუნდი ვერ მოახერხებს 46:20 ჩამორჩენის შემდეგ ხუთ ქულამდე მიახლებასო — განსაკუთრებით კი გამოარჩია სათადარიგო გამთამაშებელი ტონი გოლდვაირი, ვინც, ეს მეორე თამაშია, დამწყებ ხუთეულში ცვლის დაშავებულ მო უილიამსს და არცთუ ურიგოდ. ეს გოლდვაირი რამდენიმე წლის წინათ ნბა-ში დაწუნებული და ევროპაში ნახეტიალები კალათბურთელია, რომელიც „მილუოკიში“ განაცხადის შესავსებად აიყვანეს და შემდეგ პორტერმა სასტარტო ხუთეულშიც ანდო ადგილი. ურიგოდ ნამდვილად არ ბურთაობს, მაგრამ ასეთი გამთამაშებლით მაინც ჭირს პლეი ოფის კალიბრის გუნდებთან მეტოქეობა.



რეჯი მილერი

მიჯრით სამი გამარჯვების შემდეგ „დალასთან“ შინ წააგო ნიკა ცქიტიშვილის „გოლდენ სტეიტმა“. ცქიტიშვილს — რა გასაკვირია — არ უთამაშია. სამაგიეროდ, კვლავ ბევრი იბორგა „ნიუ ორლეანიდან“ თითქმის მუქთად გადმოყვანილმა ოლსტარელმა ბაირონ დევისმა — 22 ქულასთან ერთად მან 8 პასი, 5 მოხსნა და 4 ჩაჭრა გააკეთა, მესამე მეოთხედში დირკ ნოვიცკისთან დავაში ტექნიკური შენიშვნაც გამოიმუშავა, მაგრამ ამ მორგვით გამთამაშებლის შემართებამ ბევრიც ვერაფერი დააკლო ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს — „დალასმა“ დამაჯერებლად იმარჯვა, ზედიზედ მეოთხედ და სამხრეთდასავლეთის დივიზიონის ლიდერ „სან ანტონიოსთან“ ჩამორჩენაც შეამცირა, ამ უკანასკნელის წაგების ხარჯზე.

ბოლო შეხვედრაში „სან ანტონიოს“ ლიდერი ტიმ დანკანი აკლდა და უმისოდ თუ მოგებას ახერხებს, ისიც დიდი ვაჭირვებით, „ინდიანასთან“ კი უკვე მესამე მეოთხედში გაიწირა წასაგებად.

ხოლო „ინდიანას“ ბებერმა მგელმა რეჯი მილერმა 21 ქულა გააკეთა და ნბა-ს ისტორიაში მე-13 მოთამაშე გახდა, რომელმაც კარიერაში შეგროვებული ქულები 25 ათასს გადააჭარბა. მის ზემოთ მდგომ ლეგენდარულ ბომბარდირებსაც აქვე გთავაზობთ. ისიც სათქმელია, რომ რეჯის მოქმედ კალათბურთელებში ჯერ ვერავინ უსწრებს და ის ალბათ კიდევ აინაცვლებს. ამ სეზონში უპრობლემოდ უნდა გადაასწროს მე-12 ადგილზე მყოფ ჯერი ვესტს და იქნებ ალექს ინგლიშის ჩამოტოვებასაც შეძლოს. თან ეს ამ სეზონშივე უნდა მოახერხოს, რაკი მერე კალათბურთთან გამოთხოვებას აპირებს.

**ძოტე ყორშია**

| 25 ათასიანები | თ | ქ |
|---|---|---|
| 1 ქარიმ აბდულ-ჯაბარი | 1 560 | 38 387 |
| 2 კარლ მელოუნი | 1 476 | 36 928 |
| 3 მაიკლ ჯორდანი | 1 072 | 32 292 |
| 4 უილტ ჩემბერლენი | 1 045 | 31 419 |
| 5 მოზეს მელოუნი | 1 329 | 27 409 |
| 6 ელვინ ჰეიესი | 1 303 | 27 313 |
| 7 ჰაკიმ ოლაჯუონი | 1 238 | 26 946 |
| 8 ოსკარ რობერტსონი | 1 040 | 26 710 |
| 9 დომინიკ ვილკინსი | 1 074 | 26 668 |
| 10 ჯონ ჰავლიჩეკი | 1 270 | 26 395 |
| 11 ალექს ინგლიში | 1 193 | 25 613 |
| 12 ჯერი ვესტი | 932 | 25 192 |
| 13 რეჯი მილერი | 1 374 | 25 013 |
| 16 შაკილ ონილი | 874 | 23 388 |
| 27 გერი პეიტონი | 1 173 | 20 705 |

**აღმოსავლეთი**

| ატლანტიკა | | | |
|---|---|---|---|
| ბოსტონი | 38 | 30 | 55,9 |
| ფილადელფია | 33 | 34 | 49,3 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 36 | 47,1 |
| ნიუ იორკი | 29 | 37 | 43,9 |
| ტორონტო | 28 | 39 | 41,8 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 42 | 25 | 62,7 |
| კლივლენდი | 35 | 30 | 53,8 |
| ჩიკაგო | 35 | 31 | 53,0 |
| ინდიანა | 34 | 33 | 50,7 |
| მილუოკი | 27 | 40 | 40,3 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| მაიამი | 52 | 17 | 75,4 |
| ვაშინგტონი | 36 | 29 | 55,4 |
| ორლანდო | 32 | 35 | 47,8 |
| შარლოტი | 13 | 53 | 19,7 |
| ატლანტა | 11 | 56 | 16,4 |

**დასავლეთი**

| სამხრეთ-დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 50 | 18 | 73,5 |
| დალასი | 45 | 22 | 67,2 |
| ჰიუსტონი | 40 | 27 | 59,7 |
| მემფისი | 38 | 28 | 57,6 |
| ნიუ ორლეანი | 15 | 52 | 22,4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| სიეტლი | 46 | 20 | 69,7 |
| დენვერი | 36 | 30 | 54,5 |
| მინესოტა | 35 | 34 | 50,7 |
| პორტლენდი | 23 | 43 | 34,8 |
| იუტა | 21 | 46 | 31,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 51 | 16 | 76,1 |
| საკრამენტო | 42 | 27 | 60,9 |
| ლეიკერსი | 32 | 35 | 47,8 |
| კლიპერსი | 31 | 37 | 45,6 |
| გოლდენ სტეიტი | 23 | 45 | 33,8 |

# ორი პრობლემა: ტრავმა და გაურკვევლობა

**12-13 აპრილს ბულგარეთი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. მასზე წამსვლელი საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ჯერ კიდევ თებერვალში გაირკვა. ევროსაგზურები საქართველოს პირველობის ჩემპიონებმა მოიპოვეს, თუმც ზაზა თურმანიძის შვიდეულში ცვლილებების, უკეთეს შემთხვევაში კი ერთი ცვლილების შეტანა მაინც მოუწევს. თებერვალშივე გაჩნდა ეჭვი, მოასწრებდა თუ ვერა რუსეთიდან საქართველოს ნაკრებში დაბრუნებული მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი გოგშელიძე აპრილამდე საქართველოს სახელით ჭიდაობის ოფიციალური უფლების მიღებას. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეს გამორიცხულია. კონკრეტული პასუხი ჭიდაობის ფედერაციას არც რუსი კოლეგებისგან მიუღია და არც ფილასგან. რაც შეეხება მეორე ევროდანაკლისს, ბორჯომული შეკრებიდან გუშინ დაბრუნებული თავისუფალთა მწვრთნელ ზაზა თურმანიძისგან შევიტყვეთ**



— ევროპის ჩემპიონატისთვის სამზადისი გეგმის მიხედვით მიდის. ბიჭები ნორმალურად არიან და მონდომებითაც ვარჯიშობენ, თუმც მძიმეწონოსან დავით ოთიაშვილს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და მკურნალობს.

**— ექიმები რას ამბობენ, მოასწრებს ევროპამდე მორჩენას?**

— კისრის ტრავმაა. ადრეც აწუხებდა და ვარჯიშისას გაუმიზეზდა. ჯერ კონკრეტული პასუხი არ ვიცით, მაგრამ იმედია, ბოლო შეკრების დასრულებამდე ხალიჩაზე გასვლას მოასწრებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფაქტობრივად, გამოუვალ მდგომარეობაში ვვარდებით. ლექსო მოდებაძესაც ტრავმა აწუხებს და ევროპაზე მისი წაყვანა გამორიცხულია.

**— გოგშელიძეს თუ აქვს ბულგარეთში ჭიდაობის შანსი?**

— ალბათ ძალიან მცირე. მის თაობაზე აქტიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საიმედო არაფერი ჩანს. თუ გიორგის საერთაშორისო ფედერაციამ ჭიდაობის ნება არ დართო, მაშინ ჩემპიონატზე ლუკა კურტანიძე გამოვა.

**— თავად გოგშელიძე ალბათ მიმდინარე მოვლენებს სერიოზულად განიცდის...**

— გიორგის პოზიცია საკმაოდ მყარია. ამბობს, როგორი პრობლემებიც არ უნდა შემიქმნან, რუსეთში დამბრუნებელი მაინც არ ვარო.

**— უარეს შემთხვევაში როდის შეძლებს საქართველოს დროშის ქვეშ ჭიდაობას?**

— 2006 წლის თებერვლიდან. ამის შესახებ ფილადან შევიტყვეთ. 2004 წლის თებერვალში რუსეთის სახელით ერთ-ერთ სალიცენზიო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. საერთაშორისო ფედერაციიდან გვაცნობეს, იმ დროიდან ორი წელი უნდა გავიდესო.

**— ბოლოს ისევ საევროპო სამზადისს მივუბრუნდეთ. ბულგარეთში წასვლამდე კიდევ აპირებთ შეკრების გავლას?**

— გვინდა, ერთი მოკლე შეკრება კიდევ მოვასწროთ. ალბათ მარტის ბოლოს ლიკანში ერთი კვირითაც ჩავალთ, ევროპირველობის მასპინძელ ქვეყანაში კი შეჯიბრის დაწყებამდე სამი დღით ადრე გავემგზავრებით.



# მარტო მამიაშვილის ნება რომ იყოს...

**გოგშელიძის თაობაზე მოლაპარაკებას საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი თემურ ყაზარაშვილი და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი აწარმოებენ. მათ რუსეთის ჭიდაობის ფედერციის პრეზიდენტ მიხეილ მამიაშვილთან მეგობრობა აკავშირებთ და აქედან გამომდინარე, პრობლემაც ადვილად უნდა მოგვარებულიყო, თუმც...**

— პირადად მამიაშვილის გადასაწყვეტი რომ იყოს, იქნებ უკვე დადებითი პასუხიც გვქონოდა მიღებული — გვითხრა გუშინ ყაზარაშვილმა — მაგრამ საქმე უფრო რთულადაა. მას ფედერაციამ უნდა მისცეს თანხმობა, იქ კი ბევრი მოწინააღმდეგეა, აქაოდა, გოგშელიძეს ყველანაირი პირობა შევუქმენით და ასე ადვილად არავის დავუთმობთო.

**— მაშასადამე, საიმედო არაფერია?**

— მოლაპარაკებას ვაგრძელებთ და იმედია, როგორმე დავითანხმებთ. ბოლოს და ბოლოს, თავად გიორგის აღარ უნდა იქ დაბრუნება.

**— თუ საწადელს მიაღწიეთ, როდიდან შეძლებს გოგშელიძე საქართველოს სახელით ჭიდაობას?**

— ამ შემთხვევაში უკვე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებას უნდა დაველოდოთ. ყველანაირად ვეცდებით, მისი ოფიციალური დაბრუნება რაც შეიძლება მალე მოხდეს, 2006 წლიდან კი გიორგის წინ ველარც რუსების უარი დაუდგება. თებერვალში იქაურ ნაკრებში ბოლო გამოსვლიდან ორი წელი შეუსრულდება, რაც მას ავტომატურად გაათავისუფლებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

წყალბურთი

# საუკრაინოდ აზერბაიჯანელებმა დაგვქოქეს

**დღეს უკრაინის წყალბურთელთა ღია ჩემპიონატის IV ტურის მატჩებში მონაწილეობისთვის კიევს გაემგზავრა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც ბოლო წლებში დამკვიდრებული ტრადიციებისამებრ უფროს მეტოქეებთან მოუწევს ბრძოლა. შეგახსენებთ, რომ ჩემპიონატს ლიდერობს მარიუპოლის პირველი გუნდი, მეორე ადგილზე საქართველოს წყალბურთელები არიან, ხოლო მესამეზე — კიევის დინამოელები. კიევში გასამართ შეხვედრებთან, განვლილ ბრძოლებთან და მომავლის გეგმებთან დაკავშირებით გუშინ შევხვდით გუნდის უფროს მწვრთნელ სოსო მაისურაძეს.**

— უკრაინის ღია პირველობის მეოთხე ტური წრიული სისტემით ჩატარდება — გვეუბნება სოსო მაისურაძე. ჩვენი მეტოქეები ამ ეტაპზე მარიუპოლის პირველი და მეორე, ასევე მოლდავეთის და სევასტოპოლის ნაკრები გუნდები იქნებიან. პირველობაში მონაწილე რვა გუნდიდან ორი გათამაშებას გამოეთიშა, დარჩენილი ექვსი კი ბოლო ორ ტურში მედლებისთვის იბრძოლებს.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოს ნაკრები კვლავ გააგრძელებს წაუგებელ სერიას და ოთხივე თამაშს მოიგებს?**

— სამწუხაროდ, ამჯერად ვერ მოხერხდა ჩვენი ლეგიონერების ძირითადი ნაწილის ჩამოყვანა, რადგან კლუბებმა არ გამოუშვეს, უკრაინის პირველობაზე ლეგიონერთაგან მხოლოდ ორნი — ილია ბუტიკაშვილი და მიხეილ ბაღათურია დაგვეხმარებიან. ამ შემადგენლობით ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან მარიუპოლის პირველ გუნდთან თამაში ძალიან გაგვიჭირდება, დარჩენილ სამ მეტოქესთან კი მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია, რომ ამ ტურში შევინარჩუნოთ ის ხუთქულიანი სხვაობა, რომლითაც III ადგილზე მყოფ კიევის „დინამოსთან“ გვაქვს. ასევე უნდა ვეცადოთ, რომ მარიუპოლის გუნდმა ის სამქულიანი ფორა, რომელიც ჩვენთან აქვს, არ გაზარდოს. მთავარი მიზანი, რასაც ახლა ვისახავთ, ახალგაზრდა მოთამაშეების გამოცდაა. მიითუმეტეს, რომ მომდევნო ეტაპზე გასვლის უფლება უკვე მოპოვებული გვაქვს, მეხუთე ტურში კი ყველა ლეგიონერის ჩამოყვანას შევეცდებით და ჩემპიონობისთვის გადამწყვეტ ბრძოლას გავუმართავთ მარიუპოლის გუნდს.

**— თქვენმა გუნდმა წინა ტურშიც კარგად იასპარეზა და სამიდან სამივე თამაში მოიგო. შედეგით კმაყოფილი იქნებით, მაგრამ თამაშის ხარისხზე რას იტყვით?**

— რაც შეეხება თამაშის ხარისხს, შეიძლება ითქვას, რომ კმაყოფილი ვარ. იმ სამი თამაშიდან ორი დამაჯერებლად მოვიგეთ, ერთში კი, ხარკოვის „დინამოსთან“, რომელიც ამ სამი გუნდიდან ყველაზე სუსტია, შედარებით გაგვიჭირდა. საქმე ის იყო, რომ ბიჭებმა მეტოქე კარგად ვერ შეაფასეს, რაც ცუდ შედეგს გვიქადდა. საბედნიეროდ, თამაშის ბოლოს ძალა მოვიკრიბეთ და გავიმარჯვეთ. ასე რომ, თუ არ ჩავთვლით ამ მცირე ჩავარდნას, საერთო ჯამში თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ.

**— ახლახან თბილისში აზერბაიჯანის ნაკრებთან ოთხი ამხანაგური მატჩი გამართეთ, ამ შეხვედრებზე რაღას გვეტყოდით?**

— აზერბაიჯანის ნაკრები ახლა ყალიბდება, ამიტომ სუსტი მეტოქეა და ოთხივე მატჩში იოლად გავიმარჯვეთ. თუმცა, ამჯერად გამარჯვებაზე მნიშვნელვონი ის იყო, რომ კიევში გამგზავრებამდე ბოლო დღეებში მოგვიწია მატჩების გამართვა, რაც უკრაინაში ძალიან წაგვადგება. აზერბაიჯანის ნაკრებთან დაკავშირებით ერთის თქმაც შეიძლება კარგი იქნება, თუ წყალბურთი მათთანაც ძველებურად აღორძინდება. ამით ორივე მხარე მოგებული დავრჩებით, რადგან ამხანაგური მატჩების ჩატარება ხშირად მოხერხდება. ეს არც დიდ ფინანსებთან იქნება დაკავშირებული, ხშირად ჩატარებული მატჩები კი ორივე ქვეყანაში წყალბურთის დონეს აამაღლებს.

**— როგორც ზემოთ აღნიშნეთ, ლეგიონერების მოწვევასთან დაკავშირებით პრობლემები გაქვთ. რატომ ხდება ეს და როგორ შეიძლება ამ პრობლემების მოგვარება?**

— ლეგიონერთა გუნდები ამ დროს საკუთარ ჩემპიონატში თამაშობენ, მათი გამოშვება კი მწვრთნელის პრეროგატივაა. ლეგიონერების კლუბებთან არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რომ წყალბურთელები ჩვენი თხოვნისთანავე გამოუშვან. ამასთან, სულაც არ გვინდა, რომ ამით ჩვენს ბიჭებს კლუბებში პრობლემები შეექმნათ, რადგან შეიძლება მწვრთნელმა რომელიმე მათგანი აღარ ათამაშოს და საბრძოლო პრაქტიკის გარეშე დატოვოს. გამოსავალი კი ისაა, რომ ჩვენთანაც უნდა შეიქმნას საკლუბო სისტემა, თუ უახლოეს მომავალში ამას ვერ გავაკეთებთ, მაშინ წარმატებებზე ფიქრი გაგვიჭირდება.

**— რამდენად ხართ კმაყოფილი იმ პირობებით, რომელშიც ახლა გიწევთ ვარჯიში?**

— სავარჯიშო პირობები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. არმიელთა სპორტკლუბის ეს აუზი, სადაც დღესდღეობით ვვარჯიშობთ, სტანდარტულ ზომებს არ აკმაყოფილებს. ასევე არ გვაქვს ტაბლო, რაც წყალბურთში ძალზე საჭიროა. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ გადაწყდა ვაკის აუზში ჩვენი სავარჯიშოდ შეშვება. არადა, დახურულ აუზში ვარჯიში ძალზე მნიშვნელოვანია. ამ პრობლემების მიუხედავად, მაინც იმედიანად ვართ, რადგან ჩვენი ფედერაცია უახლოეს მომავალში ამ პრობლემების მოგვარებას გვპირდება.

**— უკრაინის ღია პირველობის შემდეგ როგორია თქვენი გეგმები?**

— ჩვენ მონაწილეობას მივიღებთ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, რომელსაც ოთხიდან რვა მაისის ჩათვლით უმასპინძლებს თურქეთი. თურქეთის გარდა ჩვენი მეტოქეები იქნებიან რუმინეთის, სლოვენიის, მოლდოვისა და ლიტვის ნაკრები გუნდები. ჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე ორი გუნდი გავა. იმის გათვალისწინებით, რომ რუმინეთს ძლიერი გუნდი ჰყავს, ხოლო თურქეთი მასპინძლის სტატუსის თავის სასარგებლოდ გამოყენებას შეეცდება და ხელწამოსაკრავი არც სლოვენიის ნაკრებია. შეიძლება ითქვას, რომ იოლი გასეირნება ნამდვილად არ გველის. თუმცა, დიდი იმედი გვაქვს, რომ 16 გუნდს შორის მოვხვდებით და ფინალურ ეტაპზე ვიასპარეზებთ, რომელსაც ბულგარეთი უმასპინძლებს.

**ლევან მაისურაძე**

ჩოგბურთი

# ლაბაძემ ბედუინის ძლევით დაიწყო



**NASDAQ-100 OPEN**
მაიამი. მყარსაფარიანი კორტები. საპრიზო 3,2 მლნ. $

**პირველი წრე**

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 6:4 1:6 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — ბრენდან ევანსი (აშშ) 6:2 6:4; **გრეგ რუზედსკი** (ბრიტანეთი) — ანდრეას სეპი (იტალია) 4:6 6:4 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 2:6 6:4 6:1

**ირაკლი** ლაბაძემ წლის მეორე მასტერსტურნირი შებერებული ბედუინის იუნეს ელ აინაუის ძლევით დაიწყო. ეს მათი მეორე შეხვედრა გახლდათ და ჩვენიანმა 33 წლის მაროკოელს უკვე მეორედვე აჯობა.

შეგახსენებთ, რომ მათ პირველად 2002 წლის უიმბლდონობის პირველ წრეში იჩოგნავეს და ლაბაძემ ის შეხვედრა 4:6 7:6 6:3 7:6 მოიგო.

ნამატჩევს ქართველ მეჩოგნეს ელ აინაუისთან დაპირისპირებაზე მეტად მისი და ავსტრიელი ჯულიან ნოულის სკანდალურად გახმაურებულ მატჩზე მოუხდა საუბარი.

გეხსომებათ, შარშანდელ ზანკტპიოლტენობაზე ლაბაძემ სამსეტიანი განდაგანა დათმო მასზე რეიტინგით დაბლა მდგომ მეტოქეზე და, რაკილა მავანმა მარტინ ფიურერმა მისი მარცხით ტოტალიზატორში 23 ათასი დოლარით იხეირა, ამ ტოტალიზატორის მესვეურთაც და სხვებმაც იეჭვეს, რომ მატჩი ჩაწყობილი იყო. შედეგად — ფიურერისთვის მოგებული თანხა არ გადაუხდიათ, რის გამოც ამ უკანასკნელმა ბუკმეიკერებს სასამართლოში უჩივლა, ხოლო სასამართლომ სხვებთან ერთად მოწმედ ირაკლი ლაბაძეც გამოიძახა. ამას სულაც არ დავუზაფრივარ, პირიქით, გავერთე კიდეცო — აი, ასეთი ყოფილა ქართველი მეჩოგნის რეაქცია, როცა სასამართლოდან უწყება მისვლია. მისი თქმით, ფიურერი შემთხვევითი ნაცნობია. „მას ყველა მოთამაშე იცნობს" — თქვა მან. პროცესში მონაწილეობას კი ის არ გაურბის და მოხარულიც კია, რომ თავის მართლების საშუალება მიეცემა.

რაც შეეხება ნოულზისნაირ უსახელო მეტოქესთან მარცხს, ლაბაძემ გუშინ ეს თავისი ხასიათის თავისებურებით ახსნა: „მე შეიძლება ნებისმიერთან წავაგო და ნებისმიერთან მოვიგო. ეს ჩემი არასტაბილურობის ბრალია".

**არტემ ჩაჩანოვი**

სუმო

# ნაბიჯი კატიკოსამდე

## კოკაი იოკოძუნას ძმაკაცს დაეჭიდება

**სეზონის** მეორე ბაშოს დასრულებამდე სამი დღე რჩება და უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში გაერთიანებულ რიკისებსაც სამსამჯერ მოუწევთ დოჰიოზე გასვლა. მთავარი ინტრიგა კი ალბათ ოსაკურ ბაშოზე უკვე დღეს მინელდება. ოცდამეერთე საუკუნის პირველი იოკოძუნა, მონღოლი „ცისფერი დრაკონი" ასაშორიუ წინ ისე მიიწევს, მისი შემჩერებელი არავინ ჩანს.

ამ დიდკაცმა იანვრის სუპერტურნირი ხომ ისე გალია, არავისთან დამარცხებულა, ახლაც თორმეტი ბრძოლა გადაიტანა და ყველა სასურველი შედეგით დაასრულა. გუშინდელი ტურის ჩამთავრების შემდეგ უახლოეს მდევრებს სამი ქულით გაუსწრო და თავისთვის რიგით მეთერთმეტე იმპერატორის თასამდე ერთი ხელის გაწვდენაღა დარჩა. თეორიული შანსები ცხრა-ცხრა მოგებით თავმომწონე რიკისითა ოთხეულსაც კი აქვს, მაგრამ აბა, ასაშორიუ რის იოკოძუნაა, ამხელა უპირატესობა ხელიდან გაუშვას.

ბაშოს ბატალიების აღმწერი სპეციალური ვებ-გვერდი მაინც იმედოვნებს, რომ მონღოლის გაჩემპიონება შესაძლოა, ერთი დღითაც გადაიდოს. დღეს ხომ იგი იმ ტოჩიაძუმას ხვდება, აქამდე ჩატარებული თოთხმეტი ბრძოლიდან ოდენ შვიდჯერ რომ წაუქცევია.

ბრწყინვალედ აღებული სტარტის შემდეგ გვარიანად გაუჭირდა სუმოთი ჩვენს დამაინტერესებელ კოკაის. ლევან ცაგურია ექვსი ტურის შემდეგ ხუთი გამარჯვებით იოკოძუნასაც კი უმშვენებდა ზურგს, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი წააგო და დადებითი ბალანსიც თვალსა და ხელს შუა გაქრა. არადა, უკვე რვა თვეა, ჩვენებურს არც ერთი ბაშო კატიკოსით არ ჩაუმთავრებია. კატიკოსი ის შემთხვევაა, რიკისი თხუთმეტი ბრძოლიდან რვას ან მეტს რომ მოიგებს.

გუშინ და გუშინწინ „შავი ზღვა" მიზნისკენ ისევ აქტიურად დაიძრა. ჯერ იყო და 175-კილოგრამიანი გორილად მონათლული ერთ-ერთი გამოცდილი მოწინააღმდეგე კაიო წააქცია, ხოლო მერე ბულგარელი მთაკაცი კოტოოსიუ. ახლა კოკაის ანგარიშზე შვიდი მოგებაა და დარჩენილ სამ ტურში კატიკოსისთვის ერთი გამარჯვებაც ეყოფა. დღეს მისი მეტოქე იოკოძუნას დიდი მეგობარი და თანაგუნდელი ასასეკიორიუა. შინაურულად ამ კაცს „წითელ დიაკონსაც" ეძახიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ლევან ცაგურია — ჩვენი კოკაი

ჭადრაკი



რობერტ ფიშერი ტოკიოს აეროპორტში

# ფიშერმა ამერიკას და იაპონიას პასპორტი აჩვენა

**გუშინ** რვათვიანი პატიმრობის შემდეგ 62 წლის გენიალური მოჭადრაკე ბობი ფიშერი გაათავისუფლეს და დილითვე თავის ახალ სამშობლოში, ისლანდიაში გაფრინდა.

ევროპაში მიმავალ ფიშერს გვერდს საცოლე, იაპონიის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელი მიიკო ვატაი უმშვენებდა და გაფრენამდე აეროპორტში პრესკონფერენციაც გამართა.

„მთავარი დამნაშავეები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში და იაპონიის პრემიერ-მინისტრი ძიუნიტირო კოიძუმი არიან. ისინი ჩემს მახეში გაბმას ცდილობდნენ — განაცხადა დიდოსტატმა — როცა ორი დიდი ქვეყნის ხელმძღვანელი კანონებს ასე აბუჩად იგდებს, მაშინ ნებისმიერი ადამიანის დაკავება შეიძლება და ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე დადანაშაულება".

ერთი თვის წინ ისლანდიამ ფიშერს თავშესაფარი მისცა, თუმცა იაპონიამ იუარა მისი გაშვება, აქაური კანონებით ჩვენთან დაკავებული მხოლოდ სამშობლოს უნდა გადაეცესო, ფიშერის სამშობლოდ კი მაშინ აშშ ითვლებოდა. იქ ჩასვლის შემთხვევაში დიდოსტატს 10-წლიანი ციხე და ფულადი ჯარიმა ელოდა. ამიტომაც მის დასახსნელად ისლანდიამ ტუსაღს მოქალაქეობა უბოძა, პასპორტი იაპონიაში გაუგზავნა და თავისუფლებაც ასე აჩუქა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ფეხბურთი

**გერმანია**

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი
დარმშტადტი 3:0 ჰფულენდორფი

**ინგლისი**

I ლიგა. გადადებული მატჩი
დონკასტერი 1:1 ბრედფორდი

**შვეიცარია**

ჩემპიონლიგა. XXIII ტური
იუვენტუსი 0:2 ბოლმი
მეირინი 1:2 ბელინცონა

**საბერძნეთი**

თასის 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი
*ოლიმპიაკოსი* 5: 1 კასტორია (1:2)

**დანია**

პირველი დივიზიონი
XIV ტური
ბ-93 კოპენჰაგენი 1:2 ფრემადი
ფრედერისია 2:1 ჰელერუპი
იოლსტიკე 2:0 სკიოლდი
ბრიონსჰიოი 1:3 ნესტვედი
კიოგე 1:1 ვაილე
სიონდერიულანდი 3:2 ფრემი
ჰორსენსი 2:1 დალუმი

**პოლონეთი**

თასის 1/8 ფინალი. I მატჩი
ბელხატოვი 0:1 პლოცკი
თასის 1/8 ფინალი
საპასუხო მატჩი
*გროდზისკი* 2:1 ოდრა (2:1)

# საოლიმპიადო ტერმინალი

თვითმფრინავებს უკან ამწეები ჩანს. პეკინის აეროპორტში ახალი ტერმინალი შენდება. მისი დიზაინერი სერ ნორმან ფოსტერია, ტერმინალი კი, ცხადია, 2008 წლის ოლიმპიადისთვის სჭირდება ჩინეთის დედაქალაქს.




REUTERS ფოტოები



REUTERS ფოტოები

# ჩაპანდაზები და თხა

ბუზკაში ავღანური თამაშია, რომელიც „რემბოს“ ძველი ფილმიდანაც გვახსოვს. ცხენოსნებმა დაკლული თხა ლელოსავით უნდა გაიტანონ. თამაში ძნელია, მასში გამარჯვება მხოლოდ დაოსტატებულ მხედრებს, ჩაპანდაზებს შეუძლიათ. ქაბულში მაგარი ბუზკაში ჩატარებულა, სპონსორებიც ჰყოლია.





REUTERS ფოტოები

# რაზდანზე

დაძრულა ანდორის ნაკრები ერევნისკენ, სომხეთის ნაკრებთან შესარჩევი მატჩის სათამაშოდ, ჩვენთვის კარგად ნაცნობ „რაზდანზე“ კი დახეთ როგორი თოვლი დევს.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანიტაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კილაურიძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ნათელა ბუზურიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ყიფშიძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge